სარბიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ხუთშაბათი, 11 სექტემბერი | 1997 №108 (473) | ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალიელებს ყველში გავეჩხირეთ

გუშინ ეროვნულზე: შეყილაძემ კაზირაგის ლამის თავი წააცალა

გადარ ალეკსიძის ფოტო

რეალისტი გამხდარა ქართველი ხალხი. აბა, რას მივაწეროთ ის ოვაცია, საფინალო სასტვენის შემდეგ რომ გაიმართა?! შინ ფრედ ვითამაშეთ, ხალხმა კი ჩირაღდნები აანთო. გინახავთ, ადრე თბილისის სტადიონზე ვინმეს ფრე გაჰხარებოდეს? ახლა გაუხარდათ და ამ სიხარულის საბაბი სრულიად გასაგებია: შეურაცხმყოფელი და დამღლელი წაგებების შემდეგ ფრე, თანაც იტალიასთან.

თამაშის წინა დღეებში ყველა იმას ამბობდა, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები ჩამოდიანო. უცნაური რამ გამოდის: ერთი მხრივ, ამის მთქმელთ კარგად მოგვეხსენებოდა, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი იმ იტალიელ ბიჭებს შორის, ჩვენს ეროვნულზე რომ უნდა ეთამაშათ, არავინ იყო. იტალია მსოფლიოს საუკეთესო გუნდი გახლდათ 1934, 1938 და 1982 წლებში. ასე რომ, სამჯერ ჩემპიონობაზე თქმული, ბუნებრივია, პირობითობა გახლდათ. მეორე მხრივ, ქვეყანა, რომლის ნაკრები სამჯერ მსოფლიოს ჩემპიონია, კლუბები კი ყველაფრის უმრავჯერ მფლობელნი არიან, დიახაც, ძლიერია, ძალიან ძლიერი. იტალია ის ქვეყანაა, რომელსაც დედამიწაზე ერთიორი თუ ჰყავს თანასწორი. იტალია ის ქვეყანაა, რომელიც, როგორც წესი, იმარჯვებს.

იტალიას წუხელ თბილისშიც გამარჯვება უნდოდა, სჭირდებოდა, სწყურდა. მან მიზანს ვერ მიაღწია. საქართველოს? ამ წერილის ავტორი იმ ოთახში არ ყოფილა, საქართველოს ნაკრების უფროს-უმცროსები თავიანთ მიზანზე რომ საუბრობდნენ, მაგრამ, ვეჭვობ, ხმამაღლა თუ არ უთქვამთ, გულში არწაგებაზე ფიქრობდნენ და მიზანს მიაღწიეს. ესეც მორიგი საგონებელი. აქაც ორი მხარეა. ერთი მხრივ, მიზანს რომ დაისახავ და მიაღწევ, სერიოზულობის მანიშნებელია, მეორე მხრივ კი საკითხავია, მიზნად არ-წაგების დასახვა უნდა მოვიწონოთ თუ არა.

შესაძლოა, მავანს მესამე აზრიც გასჩენოდა. კერძოდ, ეფიქრა, რომ ჩვენებმა, მათი აზრით, მოგების მომტანი გეგმა დასახეს, მაგრამ ვერ შეასრულეს. მაშინ საქმე კვლავ ცუდად ყოფილა, რადგან, როდესაც მომგებიან გეგმას სახავ, სინამდვილეში კი ნახევარი თამაშის განმავლობაში ბურთის საკუთარი საჯარიმოდან მოგერიებას ცდილობ, ესე იგი, ფიქრისას და დაგეგმვისას რეალობასთან ახლოს ვერ ყოფილხარ.

ვატყობ, აქვეა საჭირო ავტორისეული პოზიციის მკაფიოდ გამოხატვა, ამტომაც ვაცხადებ — ჩვენმა ფეხბურთელებმა თავი დადეს, საქმეში გული და სული ჩააქსოვეს და ინდივიდუალურად საუცხოოდ ითამაშეს. თუ გნებავთ, ცალცალკე მივყვეთ:

ნიკა ტოგონიძე: გოლი არ გაუშვა, მეკარეს კი სხვა არაფერი მოეთხოვება. მართალია, პირველ ტაიმში, ღელვის გამო, რამდენიმე ეპიზოდში აჩქარებული გადაწყვეტილება მიიღო, რის გამოც თამაშს ნერვული ფონი აუმაღლა, მაგრამ მეორეში, გარემოს რომ შეეჩვია, რამდენიმე ურთულესი დარტყმა მოიგერია და გუნდი იხსნა. მხოლოდ ხოტბას თუ შევასხამთ და მადლობას ვეტყვით.

გელა შეყილაძე: დაკვირვებით თამაშობდა. ის ღელვა, 30 აპრილს „უემბლიზე" რომ ეტყობოდა, სადღაც გამქრალა. იტალიელთა ცნობილი სახელების არ შეშინებია. მოქმედებდა თამამად და გონივრულად. ერთადერთი, შესაძლოა, შეტევებში ვერ ერთვებოდა მწვავედ, მაგრამ, ვგონებთ, თამაშის ხასიათიდან გამომდინარე, ამისთვის არც ეცალა, რადგან ძირითადად მოუხელთებელი ჯანფრანკო ძოლას დევნით იყო დაკავებული.

კახა ცხადაძე: სამწუხაროდ, დაშავდა, თან ისე მალე, რომ თამაშს თავისი ხელი ვერ დაატყო.

მურთაზ შელია: ერთი-ორჯერ საკუთარ საჯარიმოში ფეხიდან ბურთი აეჭრა. ეს ტექნიკური წუნი თუ არ გავიხსენეთ, სხვა მხრივ ძლიერი იყო. თავიდან კრისტიან ვიერის მეურვეობდა პერსონალურად, ცხადაძის დაშავების შემდეგ კი თავისუფალი მცველის პოზიციაზე გადავიდა და იქაც თქვა თავისი სიტყვა. მიზანმიმართული იყო შეტეევის ჩაშლის შემდეგ ბურთის „გამოტანისას". საჰაერო დუელებისას ჩვეულებისამებრ აქტიურობდა და იმარჯვებდა. რამდენჯერმე შეტევაში ჩაერთო და კარის მიმართულებით დაარტყა. ბოლოს კი, შევეცდები დავიცვა, თუ ვინმე მეორე ტაიმში ბურთის უმისამართო მოგერიებაში დაადანაშაულებს. ვგონებ, ეს გააზრებული სვლა იყო. საქმე ის გახლავთ, რომ იტალიას ჩვენი გუნდი საჯარიმოსთან ჰყავდა მიჯაჭვული. მეტოქის ტემპის დაგდებას და თამაშის მოედნის ცენტრში გადატანას ქართველები ვერც გამთამაშებლების მიერ ბურთის დაჭერით და ვერც კომბინაციური ტაქტიკით აზერხებდნენ. ამტომაც იყო, მურთაზი შორს რომ არტყამდა, რათა თანაგუნდელები ბურთს გაჰყოლოდნენ და უფრო მოედნის შუისკენ გადაჯგუფებულიყვნენ.

იხილეთ მეორე გვერდი

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

II შესარჩევი ჯგუფი

თბილისი, ეროვნული სტადიონი, 10 სექტემბერი

საქართველო 0:0 იტალია

1. ზოიძე

3. ცხადაძე

2. შეყილაძე 5. ჩიხრაძე

4. შელია

6. კობიაშვილი

8. ყაველაშვილი 10. ქინქლაძე 9. ქეცბაია

11. შ. არველაძე 7. ა. არველაძე

11. ძოლა 9. ვიერი

8. დი ლივიო 10. დი მატეო 7. ლომბარდო

4. დ. ბაჯო

5. კანავარო

3. მალდინი 2. ნესტა

6. ფერარა

1. პერუცი

შეცვლა: ცხადაძე — 13. კალაძე (19), ქინქლაძე — 17. გოგიჩაიშვილი (65), ვიერი — 18. კაზირაგი (67), ლომბარდო — 16. რობერტო ბაჯო (71), ა. არველაძე — 18. დარასელია (79), ძოლა — 17. ინძაგი (81)

გაფრთხილება: შეყილაძე, ა. არველაძე, დი მატეო, კანავარო

მსაჯი: პედერსენი (ნორვეგია)

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲘ 2 ᲘᲢᲐᲚᲘᲐ 0

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ. ᲠᲐᲡᲐᲪ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲰᲥᲕᲘᲐ!

...ბრძოლა. ბრძოლა და უდიდესი მონდომების სანაცვლოდ ულამაზესი გოლები. დიდებული მეორე ტაიმი. მცირედით გაწელილი 45 წუთი, რომელმაც ყველაფერი დაიტია. ყველაფერი, რასაც ჯამში ფეხბურთი ჰქვია: ორი გოლი, ორი გაფრთხილება, სამი გაძევება, ხუთი შეცვლა და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ.

იხილეთ მესამე გვერდი

ᲛᲣᲠᲐᲛ ᲓᲘᲓᲘᲐᲜᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ᲒᲐᲘᲒᲔᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲚᲐᲦᲔᲡ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ 4:0 ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐ

ინგლისი: სიმენი, ჯ. ნევილი, კემპბელი, საუთგეიტი, ფ. ნევილი, ბეტი, ბექჰმი (რიჩლი 68; ბათი 76), გასქოინი, სქოულზი, ფერდინანდი (კოლიმორი 82), რაიტი

მოლდოვა: რომანენკო, ფისტიკანი, სტროენკო, ტესტიმიცანუ, კულიბაბა (სუხარევი 53), სპინუ, კურტიანუ, შიშკინი (პოპოვიჩი 62), რებეჯა, მიტერევი, როგაჩოვი (ჩებოტარევი 74)

1:0 სქოულზი (28), 2:0 რაიტი (46), 3:0 გასქოინი (81), 4:0 რაიტი (90)

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲐᲰᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲜ

თბილისში რომ მსაჯმა საბოლოოდ ჩაუსტვინა, ჰოდლი და მისი ბიჭები „უემბლის" გასახდელში იყვნენ — თამაშამდე ერთი საათი რჩებოდა. „საქართველომ კარგი სამსახური გაგვიწია. თბილისის 0:0-ის ამბავი რომ გავიგეთ, ფეხბურთელებს ხასიათი ერთიორად გამოუკეთდათ და ალბათ, ესეც იყო ჩვენი ლაღი თამაშის მიზეზი" — იტყვის მატჩის შემდეგ გლენ ჰოდლი.

ინგლისელებმა მართლაც ლაღად ითამაშეს — მეტოქის კარში 20-ჯერ დაარტყეს, სიმენს კი მხოლოდ ერთხელ მოუხდა მოლდოველთა დარტყმული ბურთის დაჭერა. პრინცესა დაიანასადმი მიძღვნილი ელტონ ჯონის სიმღერითა და წუთიერი დუმილით დაწყებული მატჩი შავსამკლაურიანმა მასპინძლებმა ზეიმად აქციეს და ჯგუფის ლიდერებად იქცნენ. მათ უშირერ-უშირენგემობამაც ვერ შეუშალა ხელი — იან რაიტმა ორივეს მაგივრობა გასწია და წყვილი გოლის გარდა ბევრიც უბრახუნა, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი პოლ გასქოინი აღიარეს. ახლა ჰოდლის ბიჭებს საფრანგეთში წასასვლელად რომში ფრეც ჰყოფნით.

II ᲯᲒᲣᲤᲘ

ინგლისი	7	6	0	1	15:2	18
იტალია	7	5	2	0	11:1	17
პოლონეთი	6	2	1	3	7:9	7
საქართველო	6	1	1	4	3:9	4
მოლდოვა	6	0	0	6	2:17	0

დარჩენილი მატჩები: 24 სექტემბერი. მოლდოვა — საქართველო; 7 ნოემბერი. მოლდოვა — პოლონეთი; 11 ნოემბერი. იტალია — ინგლისი, საქართველო — პოლონეთი

იტალიელებს ყელში გავეჩხირეთ

დასაწყისი პირველ გვერდზე

გიორგი ჩიხრაძე: როგორც ყოველთვის, სასარგებლო იყო. შეცდომა პრაქტიკულად არ დაუშვია.

მიხეილ ყაველაშვილი: „ღვინის ქურდებისა“ არ იყოს, დამისხი და დავლევო, ათამაშეს და ითამაშა. მიშა დაუღალავად მოქმედებდა, ცალკეულ მომენტებში დრიბლინგით გამოიჩინა თავი, უშელავათო იყო დაცვაში და პერიოდულად, შეტევისას — მწვავე. ბუნებრივია, საქართველოს ნაკრებს კომბინაციური თამაში უკეთ რომ სცოდნოდა, მისი ნიჭი მეტ სარგებელს მოიტანდა. კაცს იმას ხომ არ ეუსაყვედურებთ, სოლო რეიდით შენი საჯარიმოდან მეკარესთან პირისპირ რად არ გახვედი და გოლი არ გაიტანეო.

ლევან კობიაშვილი: საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციას ჩინებულად გაართვა თავი. დაუზოგავად იბრძოდა ბურთისთვის, სახიფათოდ ერთვებოდა თავდასხმაში.

თემურ ქეცბაია: ჩვეული თავდადებითა და ოსტატობით სწვევდა იმ მარცხენა ნახევარმცველის ჭაპანს, რომელიც მოედნის ყველა მონაკვეთზე მოქმედებს. როგორც ყოველთვის, უშეცდომო გახლდათ, აწვდიდა ზუსტ პასებს და თუ საშუალება მიეცემოდა, კარში არტყამდა.

გიორგი ქინქლაძე: გიოსგან მეტს ველოდით. ვგონებ, კრიზისულ მომენტებში თამაშის სადავეების ხელში ჩაგდება მისი პირდაპირი მოვალეობა იყო. მას უნდა დაეჭირა ბურთი, თავისიანები საკუთარი საჯარიმოს მისადგომებისთვის მოეშორებინა და ცენტრისკენ გასძღოლოდა.

არჩილ არველაძე: აჩიკოს თავდადებას ენითაუწერელს თუ ვუწოდებთ. მიზანს აღწევს ის, ვინც აჩიკოსავით ინდომებს. მეორე ტაიმში ნამეტნავად უკან დაწეულმა ბრეიდლმა არველაძემ, არნახული სამუშაო შეასრულა. თავგანწირვით იბრძოდა ბურთისთვის, რომელსაც, როგორც კი მოიხელთებდა, წინ მიიწევდა. თუ უიშვიათესი შანსი მიეცემოდა და ტყუპისცალს შეტევაში შეუწყვლიდებოდა, იქით, იტალიელთა საჯარიმოსთან ხიფათი თუ არა, ხიფათისმაგვარი იქმნებოდა.

შოთა არველაძე: შოთას უდიდეს მონდომებას ვერავინ დაუკარგავს. ამ ბიჭმა ფეხბურთის, ნაღდი, თანამედროვე ფეხბურთის თამაში იცის, მაგრამ კატეგორიულად ეწინააღმდეგება ოფენსივაში ჩართვას. ეს ბიჭი ბურთს ვერ ინაწილებს, ბურთი ეკარგებოდა, ეკარგებოდა, ეკარგებოდა

სად იყო პაგანინი?

რუსთავი „ფოლადი" 10 სექტემბერი

საქართველო 2:0 იტალია

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

საქართველო: გვარამაძე, სილაგაძე, ცქიტიშვილი, დიდავა, ხუჯაძე, ზირაქიშვილი (ქებაძე 20), კიკნაძე, ალექსიძე (საჯაია 85), მუჯირი (გოგობერიშვილი 78), ფოცხვერია, აშვეთია

იტალია: ბუფონი, პისტონე (გორეტი 65), კოკო, ტაკინარდი (ბუზარეზი 55), სარტორი, გრანდონი, ბაკინი, ლუკარელი, ფიორე (ვენტოლა 65), ბელუჩი

1:0 კიკნაძე (59), **2:0** ქებაძე (64)

გაფრთხილებები: ზირაქიშვილი, ფოცხვერია, ტაკინარდი, სარტორი, გორეტი

გაძევება: ფოცხვერია, კოკო, ბაკინი

ვახტანგ გზიძაძე რუსთავიდან

მაშინ, როცა ამ სტრიქონებს ვწერდი, საქართველოს ნაკრები მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ იტალიას უძალიანდებოდა. სიმართლეს ვიტყვი, დიდი ვერაფერი ხვედრი გახლდათ: წლები გაივლის, იქნებ ათწლეულებიც და იტალიელები მეორედ ან გვეწვევიან, ან — არა. იმ წუთებში კი ცხრა მთის იქიდან თბილისს მოახლოებული იტალიელები ჩემგან ათამდე კილომეტრით თუ იყვნენ დაშორებულნი და გნებავთ, დამძრახეთ, არა ვნანობდი. მიზეზი? ის დიდი სიხარული, რომელიც გუცაევმა და მისმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა გვაჩუქა, ის სიამაყე, რასაც მეც შევუერთდი.

ასეა ყოველთვის: ნებისმიერ საქმეს შეჭიდებულ სუსტისგან წინასწარ გამოთქმული გამარჯვების რწმენა არასერიოზულად აღიქმება. ასე იყო ახლაც. მას შემდეგ, არეცოში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონმა 6:0 რომ მოგვიგო, დიდი დრო გავიდა. ჩვენმა ახალგაზრდულმაც ის კოშმარი მალე დაივიწყა. თუმცა ქართველთა მიერ წინ გადადგმული ნაბიჯები ჯერ კიდევ მორიდებული, ჩვილისა გახლდათ. აი, რატომ არ გვწამდა ჩვენი ჭაბუკების მოგება, თუმცა კი გულით გვწადა.

მალემრწმენი მაინც ბევრი გამოდგა. მათ რუსთავის „ფოლადის" სტადიონი პირთამდე შეავსეს. და ეს მაშინ, როცა ეროვნული გუნდის მატჩზე შეღწევა, გინდა, არ გინდა, ცაიტნოტში გამყოფებდა.

გუცაევმა მებრძოლი შემადგენლობა ირჩია — დაცვისთვის გარჯილი ფეხბურთელები შემტევთა ფსიქოლოგიით. სამარქაფოთა შორის დარჩნენ საჯაია და ქებაძე, სამაგიეროდ, პირველად მოხვდნენ ძირითადში ალექსიძე და ზირაქიშვილი. პირველმა მწვრთნელს ნდობა გაუმართლა, მეორემ ვერა. გუცაევმაც არ დააყოვნა: უკვე მე-17 წუთზე მისი შეცვლა დაუპირა და სამ წუთში კიდეც გამოცვალა.

თამაშის პირველი წუთები საკმაოდ მოსალოდნელი შინაარსისა გამოდგა. ქართველები ჯერაც შორს იყვნენ ფოლადისგან გამოწრთობილი ხასიათის იმ სიმტკიცისგან, დროდადრო რომ დაეუფლათ და აპოგეად ფოცხვერიაში გამოისახა, თამაშის დამთავრებამდე 25 წუთით ადრე კოკოსგან უსამართლოდ შეურაცხყოფილმა ნაცად მოკრივესავით რომ დაუშინა მას მუშტები.

გუშინდელ მოგებას წინ ბევრი ოფლისღვრა, არაერთი ღამის ტეხვა და ფიქრიანი შრომა უძღოდა. მაინც კი, ისე გამოჩნდა, თითქოს ამ გამარჯვების რწმენა მინდორზეც წამიწამ შეძენილი თავდაჯერებით ჩამოიქნა და თავდაუზოგავი ბრძოლით გამოიჭედა. სხვაგვარად არც იქნებოდა. მეოთხე წუთზე მუჯირის შორეული დარტყმა, 25-ზე ძელსგარტყმული ჯარიმა, 30-ეზე ბუფონის ხელიდან გავარდნილი ქებაძის ჩაწოდება, ათ წუთში ცხრიანდიდან ჩამოხსნილი ალექსიძის საჯარიმო, წუთის შემდეგ კი აშვეთიას მიერ აცილებული თაური და ბოლოს ხუჯაძის აცდენილივე ჯარიმა დღეს უკვე აღარავის ემახსოვრებოდა, არ ემახსოვრებოდა ისევე, როგორც გვარამაძის მიერ მოგერიებული ლუკარელის ჯარიმა, ბელუჩის დარტყმული და თიორეს დამატებული, ამათი კომბინაციის ბოლო — ბელუჩის თაური და ტაიმის მიწურულს ტაკინარდის შორეული, აცილებული დარტყმა.

ფეხბურთი ბევრ რამესთან ერთად ბურთის გორება, პასი, დარტყმა და გოლია. ეს უკანასკნელი მთავარია — იგი წარმატებულ შედეგს განაპირობებს.

მატჩის პირველი ნახევარი უგოლოდ მორჩა. ჩვენების თამაშით კაცი უკმაყოფილო ვერ იქნებოდი. იტალიელთა გასროლების წილ ჩვენებურთა ჩხვლეტებიც იყო. იყო ანასხლეტი დარტყმები, რომელიც ცუდად დამრტყმელს ბუმერანგივით უბრუნდება. სტუმრების ყოველი შეტევა კონტრიერიშად უბრუნდებოდათ. ყოველი მათი დარტყმა ქართველთა შორის არჩამორჩენის, ჯოხნის სურვილს აღვიძებდა. იტალიელები ბუნაგში მთვლემარე ლომს შეუვარდნენ და კი შეებნენ, მაგრამ დამარცხდნენ, დაიტორნენ. იტალიელებმა თავი წაავეს, რადგან საქმეში ემოცია, ნერვები ჩართეს. ეს მგრძნობიარე სიმები კი ჩვენც რომ წკიპამდე მოზიდული აღმოგვაჩნდა, ზემოთ გითხარით. მეორე ტაიმის შუაწელში ფოცხვერიაში ერთხელაც იყივლა ქართულმა სისხლმა. მან კოკოს გაჭიანურებულ ბრძოლაში მოუგო ბურთი და გაშმაგებული მეტოქისგან შეურაცხყოფა იწვნია. საპასუხოდ დიდხანს არ დაყოვნებულა, ნერვებმაც უმტკუნა და ისეთი მუშტი-კრიეი გაუმართა, ერთხელ უკვე გაფრთხილებული, გასაძევებელი შეიქნა. სხვა დროს მიშას ნაბიჯს, თუნდაც ღირსების დაცვას, ვერაფრით გავამართლებდი. მინდორზე ფეხბურთელის ღირსება თამაშში ვლინდება, მაგრამ გუშინ ეს იმ დროს მოხდა, როცა ფოცხვერიას ამის უფლება მოპოვებული ჰქონდა — ჩვენ უკვე 2:0-ს ვიგებდით. მართლაცდა, მიშამ გუშინდელ მოგებაში დიდი წილი დაიდო, ამ გამარჯვებაში მთელი თავისი ნიჭი ჩააქსოვა, ჟინი და ენერგია ჩადო. და ამ დროს უსამართლობა. უსამართლობას იგი ვერ იგუებდა და არც უნდა ეგუა.

ბრძოლა. ბრძოლა და უდიდესი მონდომების სანაცვლოდ ულამაზესი გოლები. დიდებული მეორე ტაიმი. მცირედით გაწელილი 45 წუთი, რომელმაც ყველაფერი დაიტია. ყველაფერი, რასაც ჯამში ფეხბურთი ჰქვია: ორი გოლი, ორი გაფრთხილება, სამი გაძევება, ხუთი შეცვლა და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი რამ. ეს ყველაფერი კარგად რომ აღწერო, იმაზე უკეთ მწერალი უნდა იყო, ვიდრე ჩვენი ახალგაზრდები მოთამაშენი.

და მაინც. გოლები, რომლებმაც მეტოქის დაწყვეტამდე მოჭიმული ნერვები პაგანინის სიმებივით დაწყვიტა. იტალიელებმა დიდ წინაპარს ვერ მიბაძეს: ერთ სიმზე ვერ დაუკრეს და ქართველები მათ დაკრულზე ვერ ააცეკვეს. პირიქით კი მოხდა. ჯერ ფოცხვერიამ და აშვეთიამ მარცხენა ფრთაზე მცველები გააბითურეს, მერე საჯარიმოს მარჯვენა მისადგომებთან კიკნაძეს მისცეს, ამან ოდნავ მარჯვნივაც წაიწია და ბუფონს ნაკრებს მოუგეთ. მოუგეთ „პარმას", „ვიჩენცას", „უდინეზეს", „ლაციოს", „ატალანტას", „ნაპოლის", „იუვენტუსის" და „ნიუკასლის" ამომავალ ვარსკვლავებს! მოჭრილი აბრაგანი გადაუკიდა. მერე კი ისევ მარცხენა ფლანგი, ნაცნობ ადგილას მოძებნილი კიკნაძე და ამის დაყოვნებულ დაგორებულზე ქებაძის უზუსტესი ჩაქუჩისებრი დარტყმა.

ბურთს ფეხბურთელების ფოტო

გიორგი კიკნაძე არც გრანდონის შლაგბაუმს ეპუება

გვჭვევია გმირთა გამორჩევა. ამ თამაშს ბევრი გმირი ჰყავს. ბევრი კი არა, უკლებლივ ყველა. ყველამ მოიგო ეს თამაში, მშვიდმა, სანდო-საიმედო გვარამაძემ, ლუკარელზე აკრულმა სილაგაძემ, დამზღვევმა და თითქმის გაუვალმა ცქიტიშვილმა, ყველგანმყოფმა დიდავამ და ხუჯაძემ, შეცვლაზე ბრწყინვალედ ჩართულმა, თამაშში სიმწვავის შემტანმა ქებაძემ, ორი გოლის შემოქმედმა კიკნაძემ, ბოლომდე დახარჯულმა ალექსიძემ, დამრტყმელმა და მოპასე მუჯირმა, რვაფეხა დრიბლიორმა ფოცხვერიამ, უგოლოდ გარჯილმა მეგოლე აშვეთიამ და სხვებმაც — თავის გამოსაჩენად ნაკლები დრო რომ ჰქონდათ. არ დაგვავიწყდეს მთავარი: ჩვენი იარების ბოლოდროინდელი მალამო — ფეხბურთელის ძველებური ალღოშერჩენილი, ცოდნას დაწაფებული ვოვა გუცაევი, მისი თანაშემწენი და მართლა შემწე, ბოლომდე მხარჩამოუგდები რევაზ ძოძუაშვილი... აი, ისინი, ვისთაც გვეამაყება. გვეამაყება, რომ მსოფლიოს უძლიერესი ლიგის ახალგაზრულ

ბურთს ფეხბურთელების ფოტო

ლევან ქებაძის ამ დარტყმამ იტალიელებს ბოლო მოუღო

მატჩის შემდეგ

პრესკონფერენცია აღარ გამართულა, მიზეზი გასაგებია — ყველას ცალკეული სკენ ეჩქარებოდა, იუმცა ელატმერგაცავი ჩვეული თავაზიანობით დაგვთანხმდა ორიოდ სიტყვაზე.

— რა თქმა უნდა, ბიუგრი თამამით კმაყოფილი ვარ. ფაქტობრივად, ჩემი დავალება მთლიანად შეასრულეს. ყურადღება უმთავრესად ბრძოლაზე გავამახვილეთ. ჩვენებმა იტალიელებს არაფერი დაუთმეს. ის კი არა, არაერთ ეპიზოდში სჯობდნენ კიდეც. ეს კი იმის დასტურია, საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდობა რომ გვეზრდება.

— მარტო ბრძოლა საკმარისია?

— ჩემი აზრით, გამარჯვება სწორედ ბრძოლამ მოგვიტანა. რაც შეეხება ტაქტიკურ მხარეს, იტალიელებმა, ჩემი აზრით, კარგად გააკეთეს ყველაფერი. ასე ვთქვათ, ტაქტიკურად თანაბარი თამაში იყო. ჩვენი გამარჯვება უპირველესად იმან განაპირობა, რომ ქართველებს უფრო გვინდოდა მოგება. რამდენიმე წარმატებული მატჩის შემდეგ გუნდი საამისოდ მზად გახლდათ.

იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი უფრო ლაკონური იყო:

— ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ქართველებმა და მანც გაოგნებული ვარ. ჩვენ არ უნდა წაგვეგო. ეტყობა, მეტმა თავდაჯერებულობამ დაგვლუპა.

იტალიელთა ფორვარდი ლუკარელი განცვიფრებული იყო:

— მე არანაირად არ ველოდი ქართველების მედგარ წინააღმდეგობას და ასეთ გამართულ თამაშს. მით უფრო, რომ არეცოში მათ 6:0 მოვუგეთ და მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ უპირატესობას ვფლობდით. მოგება მეტადაც გვინდოდა, თუმცა თქვენებმა გამაოცეს. ეს ნაკრები იტალიაში შეხვედრის შემდეგ სერიოზულად გაძლიერებულა. განსაკუთრებით №10, ფოცხვერია მომეწონა.

კობა ინასარიძე

I ჯგუფი

ჩვენი ჯგუფის მეორე შეხვედრა გუშინწინ შედგა — ინგლისმა მარკუს ჰოლის 73-ე წუთზე გატანილი ერთი გოლის წყალობით, მოლდოვა დაამარცხა.

ინგლისი	7	4	3	0	6:1	15
იტალია	7	3	2	2	17:5	11
საქართველო	6	2	2	2	5:9	8
პოლონეთი	6	0	5	1	6:8	5
მოლდოვა	6	1	0	5	3:14	3

იტალიელთა ჩვეულებრივი მოგზაურობა საქართველოში



ფერარა და პალიუკა ქართველ გულშემატკივართა ყურადღებამ გააოცა

...სამშაბათის ვარჯიშს კვლავ მრავალი ქომაგი ელოდა, თუმცა მილიცია მათ თამაშგარეში დატოვებას ცდილობდა. ბოლოს მარტივ მამრავლებად დაშლილმა ქომაგებმა მაინც შეაღწიეს სარბიელამდე, სადაც უპრობლემოდ შესული იტალიელი ჟურნალისტები და ტიფოზები იყვნენ. ერთი მათგანი მეცნო — *მიკელე სიმონე* ბათუმში დღეისთვის ყველაზე პრესტიჟული ბარის, „დიანალენდის" მშენებლობას თავკაცობდა. ახლა ბათუმიდან საგანგებოდ თავისიანთა საქმამაოდ ჩამოსულიყო. მიკელე ძოლას და რობერტო ბაჯოს დიდი თაყვანისმცემელი აღმოჩნდა — ძალიან მინდა, ამ ორმა გოლი გაიტანოსო. ჩვეულებრივი, გულღია ადამიანი ჩანდა, ისეთი, იტალიური ფილმებიდან რომ წარმომედგინა, ემოციური და ოდნავ დარდიმანდი. დელ პიეროს ტრავმის გამო წუხდა — ძლიერ დაგვაკლდებაო, თუმცა მისი პროგნოზი მაინც სათავისო იყო — იტალიას 2:0 უწინასწარმეტყველა.

სტუმართა ექიმის ანდრეა ფერლეტის თქმით, მოთამაშეებს სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდათ და ყველა მწყობრშია. აქეთურ-იქეთურ საუბარში დილის ვარჯიში დასრულდა და ამით დაიწყო, რაც დაიწყო... ერთ მოთამაშეზე 10 ჟურნალისტი და გაცილებით მეტი ავტოგრაფის მსურველი მოდიოდა. მათგან პირველი *პაოლო მალდინი* „ჩავარდა":

— ქართველები, სხვა ევროპული ქვეყნების ნაკრებებისგან განსხვავებით, ნაკლებ ორგანიზებულნი და მომზადებულნი არიან. ვერ ვიტყვი, რომ ძლიერი ნაკრები ჰყავთ, აქედან გამომდინარე, მათთან მოგების დიდი შანსი გვაქვს. პერუჯაში მინიმალური ანგარიშით გამარჯვების მიუხედავად მჯერა, ჩვენ აქ სერიოზული პრობლემები არ შეგვექმნება.

... *რობერტო*, რობერტო, ოჰ, რობერტო! — ვინ იცის, *ბაჯოს* რამდენ თაყვანისმცემელს აღმოხდა ოხვრა, როცა მასთან სურათი ვერ გადაიღო, ან ავტოგრაფის მიღების იმედი წარეკვეთა. თუმცა, ის სულაც არ ჩანდა ციური და უკარება. სამყაროსეულ პრობლემებზე ბუდას თვალსაწიერიდან მზირალი ვარსკვლავი მორიდებულად, თავდახრილი იდგა ჟურნალისტების წინაშე. საკი და კაპელო, „მილანი" და ნაკრები, დამცირება და სიხარული — ქართველებს ამის შესახებ მოკლედ, ლაკონურად გვითხრობდა:

— არ ვიცი, რა სურდა საკის, ან კაპელოს, რატომ ვერ მიტანდნენ. ადამიანებს ცხოვრებაზე არაერთგვაროვანი წარმოდგენა აქვთ, ყველა ერთნაირად ვერ იფიქრებს. ამის გამო მათ ვერ გავამტყუნებ. საფრანგეთში წასვლის შანსი კი ჩემთვის ბევრს ნიშნავს. „ბოლონიაში" საქმე კარგად წამივიდა და ამანაც განაპირობა ნაკრებში ჩემი დაბრუნება. მსურს, კარიერა მაჟორულად, მაღალ დონეზე დავამთავრო.

— საქართველოს იტალიასთან წარმატების რაიმე შანსი გააჩნია?

— ვეჭვობ, თუმცა იოლ შეხვედრასაც არ ველოდებით. თქვენ უცნაური ნაკრები გყავთ — როდის გაიბრწყინებთ, ძნელი სათქმელია. არ მსურს, ასეთი იშვიათი მომენტი 10 სექტემბერს დაგიდგეთ.

ატილიო ლომბარდომ თავის ინგლისურ კარიერასა და მომავალზე თქვა:

— მართალია, „კრისტალ პალასში" ახალი გადასული ვარ, ახლაღა ვეგუები ჩემთვის უცხო ფეხბურთს, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ინგლისში დიდხანს გაჩერებას არ ვაპირებ. მსურს, ბრიტანეთის შემდეგ ძალები საფრანგეთში მოვსინჯო. რაც შეეხება ქართველებთან შეხვედრას, ჩვენ კარგად ვართ მომზადებულნი და არა მგონია, სამი ქულის მოპოვება გაგვიძნელდეს.

დიახ, ასეთი თავდაჯერებულნი იყვნენ ჩვენი სტუმრები, აბსოლუტურად ყველა, ვისთანაც საუბარი მოგვიხდა — დინო ბაჯო, სტეფანო ტორიზი, ანტონიო კონტე, ჩირო ფერარა, *ჯანფრანკო ძოლა*. ამათგან უკანასკნელს გამოეყოფ, უშუალოსა და გულისხმიერს, ვარჯიშის შემდეგაც რომ არ თაკილობდა საუბარს. ეტყობა, ამიტომაც უყვართ ასე იტალიელებს, მათ შორის ჟურნალისტებს:

— ახლა, მართალია, ინგლისში ვთამაშობ, მაგრამ ეს მხოლოდ ფინანსურმა მოსაზრებებმა განაპირობა. ხომ ხედავთ, კუნძულზე რამდენი იტალიელი გაემგზავრა. ამის გამო ნაკრებში ლეგიონერთა რაოდენობა ძლიერ გაიზარდა და მოთამაშეთა თითქმის ნახევარი იტალიის გარეთაა. ახლა ინგლისში წასვლა და პრემიერლიგაში თამაში გაცილებით საინტერესოა ფინანსურადაც და წმინდა პროფესიული თვალსაზრისითაც, რადგან ინგლისური ფეხბურთი პროგრესის გზაზეა. ამას ჩვენც ვუწყობთ ხელს. და მაინც — სისხლით და ხორცით იტალიელი ვარ და ჩემთვის მთავარი ეროვნულ გუნდში თამაში და მასთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონობის მოპოვებაა. ყველაზე უკეთ თავს სწორედ სამშობლოში და იტალიის ნაკრებში ვგრძნობ.

— 10 სექტემბრის შეხვედრაზე რას იტყვით?

— ვგონებ, საწყენი არ უნდა იყოს — ჩვენ გაცილებით ძლიერები ვართ და მოგების მეტი შესაძლებლობაც გვაქვს.

... ჩვენი შემდეგი გაჩერება „მეტეხია". აქაც ანალოგიური სურათი — ჟურნალისტები, გულშემატკივრები, ფეხბურთელები კი ისვენებენ. ვსარგებლობ შემთხვევით და იტალიელთა პრეს-ატაშეს, *ანტონელო ვალენტინის* ვესაუბრები:

— თქვენებურთა განწყობა ისეთია, უნდა ვივარაუდოთ, რომ თბილისში ოღო გასეირნებას ელოდებით...

— არავითარ შემთხვევაში. პერუჯაში თქვენებმა დიდი ოფლი გვაღვრევინეს, მოგებაც ძლიერ გაგვიჭირდა. ასე რომ, არხეინად ნამდვილად არ ვართ.

— საკი და კაპელო უდაოდ დიდი მწვრთნელები არიან, ბაჯო კი დაიწუნეს. ახლა ჩეზარე მალდინი მათ შეცდომას ასწორებს?

— მალდინიმ იცის, რომ რობერტო უდაოდ დიდი ფეხბურთელია. ისე, თავის დროზე, მას საკიც და კაპელოც სწყალობდნენ — 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხომ ათამაშა საკიმ, მაგრამ მერე რა მოხდა, ძნელი სათქმელია.

— ბაჯო ბუდისტია, კათოლიკურ იტალიაში მწვრთნელები იქნებ ვერ შეეგუენ უცხო რწმენის ადამიანს?

— არავითარ შემთხვევაში. ამ მხრივ იტალიაში არავინ არავის ზღუდავს. ჩვენ ყველას აზრსა და რწმენას პატივს ვცემთ.

— იტალიამ საქართველოსთანაც ითამაშა და პოლონეთთანაც. თქვენზე რომელმა დატოვა უკეთესი შთაბეჭდილება?

— ორივე ნორმალური გუნდია, მაგრამ საერთაშორისო შეხვედრების მეტი გამოცდილება უპირატესობას პოლონელებს ანიჭებს.

— პრემიერლიგამ ფინანსურად სერია A დაჩრდილა. თქვენი მოთამაშეებიც ინგლისში გადადიან. ეს იტალიურ ფეხბურთს ხომ არ დაასუსტებს?

— ევროპა ერთიანდება, ფეხბურთელთა გაცვლა-გამოცვლა ჩვეულ მოვლენად იქცა და ამაში უარყოფითსა და ჩვენი ფეხბურთისთვის დამღუპველს ვერაფერს ვხედავ. ისე კი, კარგი იქნებოდა, ყველა ჩვენიანი შინ თამაშობდეს.

...ამაყი და უკარება *ჩეზარე მალდინი* „მეტეხის" წინ ეულად დასეირნობდა, მაგრამ ოციოდე მეტრის მშვიდად გავლაც არ ვაცალე. საქმეს რა ვუთხარი, თორემ სარფის საზღვრამდე ფეხით მისულიყო, მისი შემწუხებელი არ ვიყავი. ვინ იცის, იქნებ გენიალურ ტაქტიკას ამუშავებდა გონებაში, რომდესაც თავდახრილსა და მწუხარე რაინდივით დაფიქრებულს სიმშვიდე დავურღვიე.

— ო, ჯორნალისტო! — შესძახა და უცებ საუბარზე დამთანხმდა. გამიკვირდა — მანამდე კოლეგებმა მითხრეს, ბრაზიანია უფროსი მალდინიო.

— ბუნებრივია, თქვენ ახლა მხოლოდ მოგება გსურთ...

— რა თქმა უნდა. საფრანგეთში მოსახვედრად თითოეულ ქულას უნდა გაეუფრთხილდეთ. მოგების იმედი კი მაქვს, მაგრამ ფხიზლად უნდა ვიყოთ.

— პოლონეთის ფიასკოს შემდეგ ქართველებსაც არანაკლებ სჭირდებათ მოგება რეპუტაციის აღსადგენად.

— ეს მე კარგად მესმის. ვხვდები, რომ ხვალ ქართველები თავს არ დაზოგავენ, მაგრამ ამ ფაქტორს არ ვუშინდებით. ჩვენ ჩვენი მიზნები უნდა განვახორციელოთ. ფეხბურთელებსაც საამისოდ განვაწყობთ.

— თქვენ კატოვიცეში თავდაპირველად თამაშის ყველა საინტერესო დეტალს ინიშნავდით, მეორე ტაიმში კი ეს შევწყვიტეთ. ქართველებმა თქვენზე იმდენად ცუდი შთაბეჭდილება დატოვეს, რომ ასეთი ჩანაწერები ზედმეტად მიიჩნიეთ?

— არა, ჩანაწერებს თამაშის ბოლომდე ვაკეთებდი, თუმცა, თქვენც მართალს ბრძანებთ — ნაკლები ინტენსივობით, რადგანაც აქცენტი გოლებზე გადავიტანე და პირველი ტაიმის დარად ყველა დეტალის აღნიშვნა საჭიროდ აღარ ჩავთვალე.

— ბაჯო... ამ გვარის წარმოთქმა ლამის დასრულებულიც არ მქონდა, რომ სრული სერიოზულობით მოსაუბრე ჩეზარეს სიცილი წასკდა.

— სადაც არ უნდა წავიდე, ვისაც არ უნდა ვესაუბრო, აუცილებლად რობერტოზე ჩამოაგდებენ სიტყვას. მთელ მსოფლიოში ამას მეკითხებიან — ითამაშებს ბაჯო? დავიღალე ამ შეკითხვით.

— თქვენი აზრით, საკი და კაპელო მას რატომ არ სწყალობდნენ?

— ყველა მწვრთნელი ფეხბურთს საკუთარი გადასახედიდან უყურებს და აქედან გამომდინარე არჩევს მოთამაშეებს, მათ შორის საკიც და კაპელოც. ეტყობა, მათ საჭიროდ არ მიიჩნიეს ბაჯოს ნაკრებში მიწვევა. მე ვიცი რობის ფასი და ნაკრებშიც ამიტომ დავაბრუნე. ადრე ნათქვამს გავიმეორებ — მისნაირი ნიჭიერი ფეხბურთელი იტალიის ნაკრებს სჭირდება. მეც მჯერა მისი შესაძლებლობების და პოლონელებთან გამმართლა კიდეც, მაგრამ ნუ მთხოვთ საკის გადაწყვეტილების განსჯას. ჩვენ სხვადასხვა შეხედულება გვაქვს. თუმცა, არიგო უდაოდ დიდი მწვრთნელია. ბოლოს და ბოლოს, ბაჯომ ნაკრებში სწორედ მისი ხელმძღვანელობით გაიბრწყინა.

... „მეტეხი" იმ დღეს სასტუმროს კი არა, საფეხბურთო ცენტრს უფრო ჰგავდა. სტუმართა შორის მენეჯერთა გვარიანი რაზმიც შევნიშნე, მათ შორის „დინამოს" უცხოური საქმეების ხელშემწყობი *ერვინ კაზაკოვსკი*. მენეჯერები დასასვენებლად ჯერჯერობით საქართველოს არ ირჩევენ და ბუნებრივია, მაშინვე ვიფიქრე, საგანგებოდ ფეხბურთელთა შესათვალიერებლად ჩამოვიდა-მეთქი. ეს თავადაც დაადასტურა.

იტალიასთან შეხვედრას დაესწრებე და შემდეგ „დინამოს" — „ბაზრიდან" გავყვები, რადგან ფრანგული, გერმანული და ინგლური ბუნდოვანებანი რაღაქნიმ დინამოელთან დაინტერესებენ.

— „არსენალი" იაშვილით მართლა დაინტერესებულია?

— დაინტერესება კი იყო, მაგრამ „დინამოს" თავდამსხმელს ნაკრებში იმდენი შეხვედრა ჯერ არ ჩაუტარებია, რომ ინგლისში გადასვლის უფლება მისცენ. ისე, იაშვილზე სხვა ძლიერ გუნდებსაც უჭირავთ თვალი. წელან რომ ფრანგული, გერმანული და დანური უმაღლესი დივიზიონის გუნდები ვახსენე, სწორედ იაშვილს ვგულისხმობდი, თუმცა საქმის საბოლოო მოგვარებამდე ამ გუნდების დასახელებისგან თავს შევიკავებ.

...ოსტაპ ბენდერი განძის მაძიებელ მღვდელყოფილს რომ წააწყდება, თანამოსაქმე კისა ვარაბიანინოვს ეტყვის, კონკურენტი ფირმაც გამონნდაო. თითქოს აქ რა მოსატანია, მაგრამ კაზაკოვსკის რომ დავემშვიდობე, სწორედ მისი „კონკურენტი" ფირმის წარმომადგენელს, „გრასჰოპერის" მენეჯერ *ილია კენტინს* მოვკარი თვალი. შეხვედრა უშუალო გამოდგა. ჩამოსვლის მიზეზიც გაამხილა:

— მსურს თქვენი ნაკრების თამაშს დავესწრო და პერსპექტიული მოთამაშეები შევისწავლო. კონკრეტულად კი კობი-



დინო ბაჯო გაწამაწიაშია

აშვილის „გრასჰოპერში" გადაყვანაზე მსურს „დინამოსთან" მოლაპარაკება.

— მართალია, თითქოს იაშვილით, მუჯირითა და ალექსიძითაც დაინტერესებულხართ?

— დაინტერესება მართლაც არსებობს, მაგრამ ერთბაშად ოთხი მოთამაშის გადაყვანა გაგვიჭირდება. ახლა ბევრი რამ ნემსაძესა და ყველაშვილზეა დამოკიდებული, თუ როგორ გამოავლენენ ისინი თავს „გრასჰოპერში". მათი დებიუტი კი საკმაოდ წარმატებული იყო. განსაკუთრებით ნემსაძემ გამოიჩინა თავი: „ლოზანასთან" მან მართლაც ჩინებულად ითამაშა.

საერთოდ, დარწმუნებული ვარ, ევროპა საქართველოში ახალ პერსპექტიულ ბაზარს აღმოაჩენს, სადაც უნჯიერესი და იაფი ფეხბურთელები არიან. თქვენს მოთამაშეებს დიდი პოტენციალი აქვთ და, ვფიქრობ, ევროპულ გრანდებში თამამად შესაბიჯებლად მათთვის შვეიცარია და კონკრეტულად „გრასჰოპერი" კარგი, სასარგებლო ტრამპლინი იქნება.

მერაბ მამულაშვილი
გადრი ძეთილაძის ფოტოები

P.S. თანადგომისთვის მადლობას მოვახსენებთ გულისხმიერ თარჯიმანთა არმიას: თამუნა ლომიძეს, ია შუბითიძეს, პაატა კვანტალიანსა და გოჩა ჯამელაშვილს, აგრეთვე სასტუმრო „მეტეხის" მენეჯერებს — დათო მამულაშვილსა და თამრიკო ვარდიაშვილს.

ჩეზარე მალდინი სხვის შვილებთან მოწყალეა, საკუთარს კი არ ზოგავს

გუშინდელი მატჩის წინ სააგენტო „როიტერმა" ასეთი წერილი გაავრცელა:

„ოთხშაბათს, საქართველოში, იტალიელთა შეტევას ალბათ ჯანფრანკო ძოლა გაუძღვება. იტალიის ნაკრებს სამი ქულა სჭირდება, რათა ოქტომბერში, რომში, ინგლისთან ფრეზეც თანახმა იყოს. ჩეზარე მალდინის მეტოქე აღელვებს. ეს ის მეტოქეა, რომელსაც ამ გუნდების პირველ შეხვედრაში, პერუჯაში, ბედმა არ გაულიმა, თორემ ფრეს ითამაშებდა. მაშინ იტალიის ძლივს მოგებულმა 1:0-მა მალდინის წინამორბედის, არიგო საკის გადადგომა დააჩქარა.

— მთავარია, არ წავაგოთ — განაცხადა პრეს-ატაშემ სტეფანო პალდუჩიმ, რომელმაც დასძინა, რომ სერია A-ს ჩემპიონატში ჯერ მხოლოდ ერთი ტური ჩატარდა და შესაძლოა იტალიელი ფეხბურთელები საუკეთესო ფორმაში არც არიან.

— ჩვენ სამ ქულას ვგეგმავთ — თქვა მეორე ოფიციალურმა პირმა — მაგრამ ცოტა ენერვიულობთ კიდეც. ქართველებს დასაკარგი არაფერი აქვთ.

იტალიელები თვლიან, რომ გარდა თბილისის შემაშინებელი სტადიონის უპირატესობისა, საქართველოს ერთი წლის წინანდელზე უკეთესი გუნდიც ჰყავს, რადგან უცხოურ გუნდებში ახლა მეტი ფეხბურთელი თამაშობს.

საგანგებო ყურადღებას „მანჩესტერ სიტის" გიორგი ქინქლაძე მოითხოვს, თუმცა იტალიელები „ნიუკასლის" თემურ ქეცბაიასაც უნდა უფრთხილდნენ, რადგან გასულ წელზე უკეთ გარჯას შეეცდება — პერუჯაში ხომ მას მხოლოდ მეკარის იშვიათმა ნახტომმა შეუშალა ანგარიშის გათანაბრებაში ხელი.

ქართველებს ტემპერამენტიანი ქომაგების დასაკმაყოფილებლად ივნისში პოლონეთთან ნათამაშევზე (1:4) უკეთ გამოსვლა მართებთ".

სერგო კუტივაძე

კუტივაძე ქუთაისს დაუბრუნდა

სერგო კუტივაძე — კაცი, რომლის სამწვრთნელო მოღვაწეობის უმეტესობა დრომ „დინამოში“, ახალკაცის თანაშემწეობაში განვლო; კაცი, რომელიც 15 წელია, ფეხბურთს გაემიჯნა; კაცი, რომელიც ამ 10 წელში ერთადერთხელ დაუბრუნდა ფეხბურთს და ისიც ორიოდ თვით. ეს კაცი ოთშაბათს ქუთაისის „ტორპედოს“ მწვრთნელ-კონსულტანტად დაინიშნა. ორშაბათსვე „ტორპედოს“ პრეს-ცენტრმა გვაცნობა, რომ კუტივაძე და კლუბის პრეზიდენტი ჯიქია შეთანხმდნენ, ფეხბურთს დაბრუნებული მწვრთნელი ერთ თვეს კონსულტანტობას გაუწევს მთავარ მწვრთნელს სოსო ფრუიძეს, მერე კი ოფიციალურ ხელშეკრულებას გაუფორმებენ. ამ შემთხვევაშიც კი ფრუიძეს გუნდის დატოვება არ ემუქრება — მას მხოლოდ რანგით დააქვეითებენ.

„ტორპედოს“ მარცხიანმა სტარტმა წლევანდელ ჩემპიონატში მწვრთნელის ცვლილება გამოიწვია. ჩვენი ინფორმაციით, ქუთაურთა თავკაცად კიდევ ოთხი კანდიდატი მოიხსენიებოდა — ალექსანდრე ჩივაძე, რევაზ ძოძუაშვილი, გივი ნოდია და რევაზ ბურკაძე. მათთან მოლაპარაკების შემდეგ არჩევანი სერგო კუტივაძეზე შეუჩერებიათ.

მოსალოდნელი ცვლილებებია „ტორპედოს“ შემადგენლობაშიც — უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს რუსეთიდან დაბრუნებული დათო ჯანაშია, რომლის ტრანსფერის საკითხი უახლოეს დღეებში გადაწყდება. სავარაუდოა ზურაბ იონანიძის დაბრუნებაც.

ვახტანგ გზიკაძე

სპორტმა ქომაგი დაკარგა

8 სექტემბერს გარდაიცვალა ფოთის პორტის ყოფილი უფროსი ვალერი გეგიძე. საქართველოს ყველაზე საწყლოსნო ქალაქში — ფოთში დაბადებულგაზრდილმა კაცმა ბავშვობიდან ნიჩბოსნობა ირჩია და ბოლოშდე უერთგულა მას — საქართველოს ნიჩბოსნობის ფედერაციის საპატიო ვიცე-პრეზიდენტიც გახლდათ. მისი შეწევნით და ძალისხმევითაც იყო, რომ 1991 წელს ფოთში წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა. ვალერი გეგიძე 1995 წლიდან „კოლხეთი 1913“ პრეზიდენტიც იყო და ფეხბურთის საკითხლდეღეად არაერთი კარგი საქმე უკეთებია.

ვალერი გეგიძე 14 სექტემბერს დაიკრძალება. ფეხბურთის ფედერაციამ ამ დღეს დანიშნული VI ტურის მატჩი „მრკინალი“ — „კოლხეთი“ სამომავლოდ გადადო.

ეშმაკეულნი

მამების ცოდვა შვილებს არ მოეკითხებათ

ამ რამდენიმე დღის წინ ბელგიის ყველაზე ტიტულოვანი გუნდის, ბრიუსელის „ანდერლეხტის“ პრეზიდენტმა რჯერ ვან დენ სტოკმა განაცხადა, რომ მამამისის, კონსტანტინის პრეზიდენტობისას, 1984 წელს, უეფას თასის ნახევარფინალის განმეორებითი შეხვედრის წინ ინგლისის „ნოტინგემთან“ „ანდერლეხტის“ წარმომადგენლებმა ნამდვილად მოქრთამეს მატჩის არბიტრი, ესპანელი გურუჩიტა მურო. 27 ათასი დოლარის სანაცვლოდ მურომ ალბიონელებს 0:3 წააგებინა, თან ბოლოს ბელგიელებს გამოგონილი პენალტი დაუდო, სტუმართა აშკარა გოლი კი არ ჩათვალა. როჯერმა მუროს მომქრთამველი რაიმონდ დე დიკენიც დასახელა. მათ ცოდვებმა მალე უწიეს — ესპანელი მსაჯი 1987 წელს ავტოკატასტროფაში დაიღუპა, დე დიკენი კი „ანდერლეხტმა“ გაანთავისუფლა.

როჯერმა მამის ცოდვა სახალხოდ იმიტომ მოინანია, რომ ახლა უეფას მათი დასჯის უფლება არა აქვს, რადგან მას წესდებაში უწერია, რომ გამოძიებამ შეიძლება არა უმეტეს 10 წლისა გასტანოს. ამ ვადის გასვლის მერე კი ეჭვმიტანილი, რაც უნდა დამნაშავე იყოს, უეფასგან დაუსჯელი დარჩება.

ამის დასამტკიცებლად ბელგიის ერთ-ერთმა გაზეთმა „ჰეთ ნიუსბალდმა“ უეფაში ფაქსი აფრინა. იქაურმა პრეს-ატაშემ ფრიც ალსტრომმა უპასუხა, თქვენი ვარაუდი სწორია — მართალია, ლენარტ იუჰანსონს საბოლოო სიტყვა ჯერ არ უთქვამს, მაგრამ საგამომძიებლო ჯგუფმა მუშაობა დაასრულა, ამიტომ ვეღარ დაგსჯითო.

ცნობამ „ანდერლეხტის“ მენეჯერი რობერტ დე პოტი ერთობ გაახარა — დისკვალიფიკაცია რომ მოეცათ, ეს საშინელება იქნებოდა არამარტო ჩვენთვის, არამედ მთელი ბელგიური ფეხბურთისთვისო.

„ანდერლეხტის სპონსორმა, ბელგიის „ჯენერალე ბანკმა“ კი განაცხადა, მოქრთამვის ამბავმა საშინლად აღგვაშფოთა, ამიტომ არაა გამორიცხული, კლუბის დაფინანსება შევწვიტოთო.

ჰოლანდია

აიაქსი 3:0 ვალვაიკი
1:0 ბაბაგიდა (30), 2:0, 3:0 მაკგართი (61, 71)

გრონინგენი 4:0 ნაიმეგენი
1:0 სხუნმაკერსი (52), 2:0, 3:0 მონიო (60 პ, 67), 4:0 უიძინგო (89)

როდა 0:2 ვოლენდამი
0:1, 0:2 შულაი (9, 42)

შოთას და დანარჩენ ევროპელ ლეგიონერთა გარეშე დარჩენილმა ამსტერდამელებმა ჩვეული გამანადგურებელი ანგარიშით ვეღარ იმარჯვეს და მხოლოდ 3:0 მოიგეს. მოუსვენარმა ნიგერიელმა ტიჯანი ბაბანგიდამ მეოთხე თამაშში მეოთხე გოლი შეაგდო, რითაც შოთას წამოეწია. „აიაქსმა“ მეორე ნახევარში იფეთქა და მაკგართიმ ორჯერ დალაშქრა რობ ვან დიკის კარი. მან მესამეც შეაგდო, მაგრამ მსაჯმა მეკარესთან უხეშობა დაუფიქსირა და გოლიც გააუქმა.

ინგლისის პირველ დივიზიონში სამშაბათს ორი მატჩი გაიმართა: ჰადერსფილდი — ბირმინგემი 0:1, პორტ ვეილი — სტოკპორტი 2:1.

საფრანგეთის „ნანტმა“ შესაძლოა უახლოეს დღეებში ზამბიელი ფორვარდი დენის ლოტა შეიძინოს. ნანტელებს ლოტა „მონაკოში“ წასული იაფეტ ნდორამის შემცვლელად ეგულებათ.

ალბანეთის ისედაც ათასჯერ შეწყვეტილი ჩემპიონატის თამაშები კიდევ ერთი დღით გადაიდო — მიზეზი დედა ტერეზას დაკრძალვაა, რომელსაც ამ ქვეყნის მოქალაქეობა ჰქონია. ასე რომ, ალბანეთის ჩემპიონატის მატჩები შაბათის ნაცვლად კვირას გაიმართება. თავად დედა ტერეზა, მოგეხსენებათ, ინდოეთში გარდაიცვალა — 87 წლისას გულმა უმტყუნა.

ინგლისის „ფულემის“ გულშემატკივრებს თანაგრძნობისთვის დიდი მადლობა უთხრა მუჰამედ ალ ფაიდმა, რომლის ვაჟიშვილიც პრინცესა დაიანასთან ერთად პარიზში ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ალ ფაიდის ოჯახმა ათასზე მეტი თანაგრძნობის წერილი მიიღო, ჰეროსუფალმა მამამ კი განაცხადა, იმედი მაქვს, მშვენიერ წყვილს — დაიანასა და დოდის არასოდეს დაივიწყებთო.

გერმანიის „ჰამბურგი“ პრემიერლიგაში მოთამაშე ტონი იეპოას შეძენას არ ჩქარობს, რადგან განელ ფეხბურთელს ოთხი წლის წინ „აინტრახტში“ ყოფნისას გერმანიის საგადასახადო ინსპექციისთვის დაახლოებით 550 ათასი დოლარი დაუმალავს. გერმანიაში ჩასვლის შემთხვევაში მას ამ თანხის გადახდა მოუწევს, ეს კი „ჰამბურგს“ დიდ პრობლემებს უქმნის, ამიტომ კლუბმა „ლიდსთან“ მოლაპარაკება დროებით შეწყვიტა.

რუსეთის ფეხბურთის კავშირმა ნაბერეჟნიე ჩელნის „კამაზს“ ექვსი ქულა დაუჭვითა: კლუბმა ზაფხულში კალინინგრადიდან ნახევარმცველი იური შუკანოვი შეიძინა, მაგრამ სატრანსფერო თანხა დროზე არ გადაიხადა. აქამდე „კამაზი“ 23 ქულით ბოლოდან მესამე იყო, ახლა კი 26 თამაშში დაგროვილი 17 ქულით ერთპიროვნულ აუტსაიდერად იქცა.

ინდოეთის ნაკრები სამხრეთ აზიის ფეხბურთის კავშირის მიერ მოწყობილი „ოქროს თასის“ გათამაშების ნახევარფინალში დღეს პაკისტანს შეხვდება, შრი ლანკა კი მალდივეთს უმასპინძლებს.

ინგლისის ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა ტონი ადამსმა, შესაძლოა, შაბათს პრემიერლიგის მორიგ მატჩში „ბოლტონის“ წინააღმდეგ ითამაშოს. ბოლო ხუთი თვეა, იგი კოჭის ტრავმის გამო იძულებით ისვენებს, თუმცა სამშაბათს „ჰაიბერიზე“ „საუთჰემპტონთან“ გამართულ ამხანაგურ მატჩში მან მთელი 90 წუთი მინდორზე დაჰყო.

სამხრეთაფრიკელი მარკ ფიში, ალბათ, რომის „ლაციოდან“ „ბოლტონში“ გადავა. 23 წლის მცველი იტალიელებმა 3 მილიონ 200 ათას დოლარად შეაფასეს, რაზეც ინგლისელები დაყაბულდნენ. თუ ტრანსფერი შედგა, არაა გამორიცხული, აფრიკის თასის მფლობელმა ფიშმა შაბათის პირველსავე მატჩში ითამაშოს „არსენალის“ წინააღმდეგ.

ფეხბურთის რუკასთან

თურქეთის „სამსუნსფორმა“ ხუთი ტურის შემდეგ მწვრთნელობიდან გაანთავისუფლა გერმანელი ჰორსტ ხრუბეში. ევროპის 1980 წლის ჩემპიონს თურქებმა ასისტენტი მიხაელ კრუგერიც მიაყოლეს, რადგან გუნდმა ხუთ ტურში მხოლოდ ხუთი ქულა დააგროვა და 18 გუნდიან ჩემპიონატში მე-12 ადგილი დაიჭირა. შემდეგ ჯერი მოთამაშეებზე მიდგა: კლუბის ხელმძღვანელობამ ოთხ ფეხბურთელს ენის ჭარტალი არ აპატია და მათ რამდენიმე ათასი დოლარის გადახდა დააკისრა.

ბერძენი ცისის ვრიზასი ერთობ მოსწონებია ლივერპულის „ევერტონის“ მწვრთნელ ჰოვარდ კენდალს. ინგლისელები ამ დღეებში საბერძნეთში იყვნენ და ამხანაგურად ეთამაშნენ „პანათინაიკოსს“. მიუხედავად 1:4 წაგებისა, კენდალმა დრო უქმად არ დაჰკარგა და ერთ-ერთ თამაშს დაესწრო, სადაც სალონიკის პაოკის ვარსკვლავს დაადგა კიდეც თვალი. სამშობლოში დაბრუნებულმა კენდალმა განაცხადა, ამ თვეში პაოკი უეფას თასზე „არსენალს“ ხვდება და ვრიზასის შეძენის საკითხს ამ მატჩების შემდეგ გადავწყვეტო.

ინგლისის „ნოტინგემის“ მეკარე, შესაძლოა, პრემიერლიგის „ბლეკბერნში“ გადავიდეს. ირლანდიელ ფეტისს როი ჰოჯსონი ძლიერ მოუხიბლავს და მოლაპარაკებასაც არ დაუხანებია. კლუბები 300 ათას დოლარზე შეთანხმებულან.

ინგლისის ნაკრების კაპიტანმა და თავდამსხმელმა ალან შირერმა განაცხადა, წელს ჩემს დაბრუნებას კარგი პირი არ უჩანს; სავარაუდოდ, ფეხბურთის თამაშს იანვრისთვის განეაახლებო: „ფეხი მირჩება, ვმკურნალობ, მალე გამოვკეთდები, მაგრამ წელს, ალბათ, ვეღარ ვითამაშებ.“

შოტლანდიის „სენტ ჯონსტონის“ მეორე მწვრთნელ ჯონ ბლეკლის ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ ერთი წლით აუკრძალა გუნდის სათადარიგოთა სკამზე გამოჩენა, რადგან მან კოკა-კოლას თასზე „სელტიკთან“ დამარცხების დროს ასოციაციის წარმომადგენელს შეურაცხყოფა მიაყენა. ბლეკლის დისკვალიფიკაცია არ აკმარეს და 1000 დოლარითაც დააჯარიმეს.

ეგვიპტეში მიმდინარე 17 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე ჯგუფში ბრაზილიამ 3:0 სძლია აშშ-ს.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ გამოსცა წიგნი, რომელიც ბრიტანულ ფეხბურთში მომხდარ სხვადასხვა სახის მაჭინაციებზე მოგვითხრობს. წიგნი კი გამოიცა, მაგრამ საჯაროდ არ გაიყიდება.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ ოლიმპიურ ჩემპიონ ნიგერიას შესთავაზა, ოქტომბერში დრო გამონახეთ, გვესტუმრეთ და კუნძულ კორსიკაზე შეკრება გაიარეთო. ნიგერიელებს ფრანგული ტურნეს მოწვობაში დიდად დაეხმარა აფრიკელთა ფრანგი მწვრთნელი ფილიპ ტრუსიე.

ინგლისის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ მალე 1996-97 წლების სეზონში პრემიერლიგის ოფიციალურ ბურთებს ამზადებს. მანჩესტერელებმა საჯაროდ გამოაცხადეს, ნაიკის ნაცვლად „ადიდასი“ ... ტიჟეს, თუმცა, რადგან კლუბს მდივანმა კენ მარეტმა განაცხადა, ფრანგმა წვეულებაზე ჩასვლა იუარა.

ნიგერიელმა ნვანკვო კანუმ განაცხადა, შესაძლოა, „ინტერი“ დავტოვო. ოლიმპიურმა ჩემპიონმა ამის მიზეზად დიდი კონკურენცია დაასახელა. მართლაც, ძირითადში ადგილის მოსაპოვებლად მას განცთან, ბრანკასთან, სამორანოსთან, რეკობასთან და ჯორკაეფთან მოუხდება პაექრობა. ნვანკოს თქმით, იგი ამისთვის მზად არ არის. ფეხბურთელის დაწყნარება „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ ითავა და კანუს გასაგონად თქვა, გულს ნუ გაიტეხს, კარგ ფორმაში რომ იქნება, ძირითადში ვითამაშებთო.

არგენტინელ დიეგო მარადონას, მიუხედავად იმისა, რომ კოკაინის მიღებაში ამხილეს, კვლავ შეუძლია თამაში — ასე განაცხადა ფედერალურმა მოსამართლემ კლაუდიო ბონადიომ. მან ისიც დაამატა, სანამ მარადონას ადვოკატების მიერ შეტანილი პროტესტი ხელახლა არ განიხილება, ფეხბურთელის ლიკვიდაცია მანამდე უძლურია.

იტალიელ ფაბრიციო რავანელის „მიდლსბროში“ მძიმე დღეები უდგას. ბოლო ორი მატჩია, მას ძირითადში აღარ უთამაშია, რობსონი კი, როგორც ჩანს, არც ახლა, „ბრედფორდთან“ აპირებს მის დაყენებას. ბრაიანის აზრით, რავანელის ძირითადში თამაშმა, შესაძლოა, გუნდში არევ-დარევა გამოიწვიოს, რაც, ცხადია, არასასურველია.

ნეპალის დედაქალაქში ჩასულმა შრილანკელებმა მასპინძლები 3:1 სძლიეს, რაც ერთობ მძიმედ დაუჯდათ. მატჩზე დამსწრე 35 ათასმა გულშემატკივარმა, თავისი ნაკრების უძლურება რომ იხილა, ტრიბუნებზე მიმობნეულ ქვებს სტაცა ხელი და სტუმრებს დაუშინა. სამი თავგატეხილი შრილანკელი საავადმყოფოში გააქანეს, დანარჩენები კი გვარიანად დაქექილები იყვნენ.

ინგლისის „სანდერლენდის“ მწვრთნელმა პიტერ რიდმა განაცხადა, თავდასხმაში ძლიერ გეჭირს, ნილ ქუინიც ვერ მომჯობინდა, ასე რომ, თუ ეინმე არ ეიშოვეთ, საქმეები უკან-უკან წაგვიეაო. ის „ეინმე“ ჩელსელი მარკ ჰიუზი აღმოჩნდა. „სანდერლენდს“ უკვე დაუწყია უელსელზე ნადირობა, თუმცა, რას გააწყობს, ჯერ უცნობია.

იტალიელ მიკელე ძეოლი, ახლანდელ მსოფლიოს უნივერსიადად რომ მოიგო, შესაძლოა, „ბლეკბერნ როვერსში“ გადავიდეს. რიო ჰოჯსონმა 24 წლის მიკელე ერთი კვირით მიიწვია გასასინჯად. ძეოლი, რომელიც სერია C1-ის კლუბ „პრო ვერჩელლიში“ თამაშობს, „მანჩესტერ სიტისაც“ სურდა. მასზე არც იტალიის სერია B-ს და C-ს გუნდები ამბობენ უარს.

საფრანგეთის პსჟ-ს ნახევარმცველი ბერნარ ალუ ერთი კვირით ალბიონს გაფრინდა „ნიუკასლში“ გასასინჯად. 22 წლის ალუს პარიზელებთან 2000 წლამდე აქვს კონტრაქტი, მაგრამ უფრო სარწმუნოა, რომ იგი თემურ ქეცბაიას თანაგუნდელი გახდება.

არც იმას აწყენინებს, არც ამას

საბოლოო სიტყვა ფიფამ თქვა: „ინტერს“ „ბარსელონასთვის“ 1,85 მილიონი დოლარი აქვს გადასახადელი.

ევროპის ორი დიდი გუნდის დავის საბაბი შესაძლოა ვინმეს მიავიწყდა, ამიტომ მოკლედ გავიხსენოთ. ბრაზილიელ ვარსკვლავ რონალდოს ესპანეთიდან იტალიაში გადასვლა მოუნდა და საამისოდ შემდეგი გზა ირჩია: „ბარსელონას“ გადაუხადა 27,6 მილიონი, რითაც კატალონიელთა გუნდისგან თავი გამოისყიდა და როგორც საკონტრაქტო ვალდებულებისგან განთავისუფლებულმა კაცმა, „ინტერს“ მიაშურა. ბუნებრივია, „ბარსელონაში“ მისატანი 27,6 მილიონი მას „ინტერის“ პრეზიდენტმა, მილანელმა მენაჯობომ მასიმო მორატიმ მისცა. კატალონიელთათვის ხსენებული თანხის გადახდის შემდეგ, რონალდოს ერთი ფორმალობაღა რჩებოდა მოსაგვარებელი: მას იტალიაში ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციისგან სატრანსფერო სერთიფიკატი უნდა ჩაეტანა. არეულობაც აქ დაიწყო — ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, კანონის თანახმად ფეხბურთელს, რომელიც საკუთარ თავს გამოისყიდის, საზღვარგარეთ გადასვლის უფლება არ აქვს, ახალი გუნდი ესპანეთშივე უნდა გამონახოსო. ამის თქმა და „ბარსელონას“ მადაზე მოსვლაც ერთი იყო. კლუბმა ცეცხლს ნავთი დაამატა, 27,6 მილიონი თავის გამოსყიდვისა იყო, ტრანსფერზე კი „ინტერი“ ცალკე დამელაპარაკოსო. ესპანური კლუბის აზრით, „ინტერს“ რონალდოს შესაძენად დამატებითი 10 მილიონი უნდა გაეღო.

მილანელებმა სამართლის საძიებლად ფიფას მიაკითხეს. ფიფამ ორივე მხარეს მოუსმინა და დაადგინა, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაცია მტყუანია, ხოლო „ინტერი“ და „ბარსელონა“ დამატებით გადასახადზე თავად უნდა მორიგდნენ. „ბარსამ“ ათი მილიონი დაიჩემა, „ინტერმა“ კი — ცენტსაც არ გადავიხდიო. მოკლედ, თანხის დადგენა ისევ შეეცარიაში მოუხდათ.

— დღესაც მწამს, რომ „ბარსელონასი“ არაფერი გვმართებს, მაგრამ შექმნილ ვითარებაში მიჯობს ეს საქმე მოვიშორო და დამატებითი გადასახადი გადავიხადო. თანაც, თუ გავითვალისწინებთ, 27,6 მილიონის მიღების მუხედავად, „ბარსელონა“ რა თანხას ითხოვდა, გამონდა, რომ ფიფამ „ინტერის“ პოზიცია გაიზიარა — განუცხადა ჟურნალისტებს მილანელთა პრეზიდენტმა.

სარეკლამო საგენტო კოკი და კომპანია

რეკლამის დამზადება

1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება

კომპიუტერული მომსახურება

ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება

25% ფასდაკლებით!!!

მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.

ტელ. 95 96 56

სარგებელი

სპორტული ლატარია "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. ბუნდესლიგა. VI ტური

12 სექტემბერი

არმინია — ჰანზა	1,7	2,9	3,8
ჰამბურგი — კიოლნი	1,7	2,9	3,8

13 სექტემბერი

ვოლფსბურგი — შალკე	2,4	2,9	2,2
დორტმუნდი — კარლსრუე	1,2	4,0	8,0
დუისბურგი — ვერდერი	1,6	3,1	4,0
ლევერკუზენი — მიუნხენ 1860	1,2	4,0	8,0
ბაიერნი — ჰერტა	1,1	5,0	10,0
მიონხენგლადბახი — ბოხუმი	1,4	3,2	5,3

14 სექტემბერი

კაიზერსლაუტერნი — შტუტგარტი	2,0	2,7	3,0

გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. VI ტური

12 სექტემბერი

ნიურნბერგი — ურდინგენი	2,7	3,0	2,0
ფრაიბურგი — აინტრახტი	2,1	2,7	2,8

13 სექტემბერი

ცვიკაუ — გიუტერსლო	1,6	3,1	4,0

14 სექტემბერი

კიკერსი — უნტერჰახინგი	2,0	2,7	3,0
ვატენშაიდი — ფიურტი	1,7	2,8	4,0
ფორტუნა — მაინცი	1,7	2,8	4,0
ლაიპციგი — კარლ ცაისი	1,5	3,0	5,0
კოტბუსი — მეპენი	2,1	2,7	2,8

15 სექტემბერი

დიუსელდორფი — ზანქტ პაული	1,6	3,1	4,0

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. VI ტური

13 სექტემბერი

არსენალი — ბოლტონი	1,2	4,0	8,0
ბარნსლი — ასტონ ვილა	2,0	2,8	2,9
დერბი — ევერტონი	1,6	3,0	4,2
კრისტალ პალასი — ჩელსი	4,4	3,2	1,5
ლესტერი — ტოტენჰემი	1,8	2,8	3,4
ლივერპული — შეფილდ იუნაიტედი	1,2	4,0	8,0
მანჩესტერ იუნაიტედი — ვესტ ჰემი	1,15	4,7	8,0
ნიუკასლი — უიმბლდონი	1,2	4,0	8,0
ქოვენთრი — საუთჰემპტონი	1,7	2,8	4,0

14 სექტემბერი

ბლეკბერნი — ლიდსი	1,5	3,0	5,0

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. VII ტური

13 სექტემბერი

ბირმინგემი — სანდერლენდი	1,8	2,8	3,4
ბრედფორდი — მიდლსბრო	2,0	2,7	3,0
ბერი — მანჩესტერ სიტი	2,2	2,8	2,5
ჰადერსფილდი — იფსვიჩი	2,1	2,9	2,6
ნორვიჩი — პორტ ვეილი	1,6	3,1	4,0
პორტსმუთი — ქრიუ	1,2	4,0	8,0
ქუინზ პარკი — ვესტ ბრომვიჩი	2,0	3,0	2,7
რედინგი — ოქსფორდი	2,0	3,0	2,7
შეფილდ იუნაიტედი — ნოტინგემი	2,0	3,0	2,7
სტოკი — სტოკპორტი	1,3	3,6	6,0
სვინდონი — ტრანმერი	1,7	2,8	4,0
ვულვერჰემპტონი — ჩარლტონი	1,2	4,0	8,0

საფრანგეთის ჩემპიონატი. VII ტური

12 სექტემბერი

ნანტი — მონპელიე	1,5	3,0	5,0
ბორდო — ლე ავრი	1,5	3,4	4,0
მონაკო — მარსელი	1,4	3,1	5,6
ლიონი — სტრასბური	1,8	2,8	3,4
მეცი — კანი	1,1	5,0	10,0
პსჟ — ბასტია	1,4	3,1	5,6
ტულუზი — ოსერი	2,0	3,0	2,7

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. II ტური

13 სექტემბერი

ბრეშია — სამპდორია	2,3	2,9	2,3
ლეჩე — უდინეზე	2,0	2,9	2,8
მილანი — ლაციო	1,6	3,0	4,2

14 სექტემბერი

ბოლონია — ინტერი	2,3	2,9	2,3
ფიორენტინა — ბარი	1,15	4,7	8,0
ნაპოლი — ემპოლი	1,3	3,4	6,5
პარმა — ატალანტა	1,4	3,1	5,6
რომა — იუვენტუსი	2,3	2,9	2,3
ვიჩენცა — პიაჩენცა	1,3	3,4	6,5

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. III ტური

14 სექტემბერი

ანკონა — ჯენოა	2,2	2,8	2,5
კალიარი — დი სანგრო	1,2	4,0	8,0
კიეკო — სალერნიტანა	1,7	2,8	4,0
ფ. ანდრია — პესკარა	2,3	2,9	2,3
მონცა — ვენეცია	1,9	2,9	3,0
პადოვა — ვერონა	2,3	2,9	2,3
პერუჯა — ლუკეზე	1,2	4,0	8,0
რეჯანა — რავენა	1,4	3,1	5,6
რეჯინა — ტრევიზო	1,5	3,0	5,0
ტორინო — ფოჯა	1,4	3,1	5,6

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. III ტური

14 სექტემბერი

მერიდა — სარაგოსა	2,3	2,9	2,8
ოვიედო — ესპანიოლი	1,8	2,8	3,4
სელტა — ბეტისი	2,4	2,9	2,5
ბილბაო — ატლეტიკი	2,3	2,9	2,3
ვალიადოლიდი — სალამანკა	1,3	3,4	6,5
რეალი — სოსიედადი	1,5	4,7	8,0
რასინგი — ვალენსია	1,8	2,9	3,3
პარსელონა — დეპორტივო	1,3	3,4	6,5
მალიორკა — სპორტინგი	1,7	3,0	3,6
კომპოსტელა — ტენერიფე	2,0	2,8	2,9

პორტუგალიის ჩემპიონატი. III ტური

14 სექტემბერი

პორტუ — ამადორა	1,1	5,0	10,0
ვარზიმი — ლეცა	1,8	3,0	3,2
მარიტიმუ — კამპომაიორენსე	1,3	3,4	6,5
სალგეირუში — სეტუბალი	1,6	3,0	4,2
ბენფიკა — აკადემიკა	1,1	5,0	10,0
ბოავიშტა — რიუ ავე	1,3	3,4	6,5
გიმარაეში — სპორტინგი	4,0	3,1	1,6
შავეში — ბრაგა	2,0	2,7	3,0
ბელენენსეში — ფარენსე	1,5	3,1	4,7

რუსეთის ჩემპიონატი. XXVII ტური

13 სექტემბერი

სპარტაკი — ბალტიკა	1,15	4,7	8,0
ალანია — დინამო	1,9	2,8	3,1
როტორი — ფაკელი	1,05	6,0	12,0
ცსკა — ტიუმენი	1,3	3,4	6,5
ტორპედო — როსტსელმაში	1,3	3,4	6,5
ჩერნომორეცი — კრილია სოვეტოვი	1,9	2,9	3,0
კამაზი — ზენიტი	2,0	2,9	2,8
ყემჩუჟინა — ნოვგოროდი	1,2	4,2	7,0
შინიკი — ლოკომოტივი	3,0	2,7	2,0

ჰოლანდიის ჩემპიონატი. V ტური

12 სექტემბერი

მაასტრიხტი — როდა	3,6	3,3	1,6
აიაქსი — გრონინგენი	1,05	6,0	12,0
ნაიმეგენი — ტვენტე	2,7	3,0	2,0

13 სექტემბერი

ტილბურგი — სიტარდი	1,6	3,1	4,0
სპარტა — ვოლენდამი	1,5	3,2	4,4
ვიტესი — უტრეხტი	1,5	3,1	4,7

14 სექტემბერი

ვალვაიკი — ჰერენვენი	3,0	2,7	2,0
ფეენოორდი — ეინდჰოვენი	1,8	2,8	3,4
გრაავსხაპი — ბრედა	1,6	3,1	4,0

ბელგიის ჩემპიონატი. V ტური

13 სექტემბერი

სტანდარდი — ანდერლეხტი	2,3	2,9	2,3
მუსკრონი — ეკერენი	1,5	3,1	4,7
შარლეროა — ლოკერენი	1,8	2,8	3,4
პეეერენი — ვესტერლო	1,4	3,1	5,6
ანტვერპენი — ბრიუგე	3,8	3,2	1,6
მოლენბეკი — სენტ ტრიუდენი	1,6	3,1	4,0
ლიერსი — ლომელი	1,6	3,0	4,2
გენკი — ალსტი	1,2	4,0	8,0
გენტი — ჰარელბეკი	1,7	2,8	4,0

შოტლანდიის ჩემპიონატი. V ტური

13 სექტემბერი

დანდი იუნაიტედი — კილმარნოკი	1,5	3,0	5,0
ჰიბერნიანი — დანფერმლაინი	1,3	3,4	6,5
მოზერველი — სელტიკი	6,0	3,6	1,3
რეინჯერსი — აბერდინი	1,1	5,0	10,0
სენტ ჯონსტონი — ჰართსი	2,0	3,0	2,7

ავსტრიის ჩემპიონატი. XI ტური

12 სექტემბერი

ლინცერი — აუსტრია	2,5	2,8	2,2

13 სექტემბერი

ტოროლი — ადმირა	1,2	4,0	8,0
ზალცბურგი — ლუსტენაუ	1,6	3,0	4,2
რაბიდი — რიდი	1,5	3,0	5,0

14 სექტემბერი

შტურმი — გრაცერი	1,7	2,9	3,8

შვეიცარიის ჩემპიონატი. X ტური

13 სექტემბერი

გრასჰოპერი — ბაზელი	1,1	5,0	10,0
სერვეტი — სიონი	1,5	3,1	4,7
სენტ გალენი — კრინსი	1,8	2,8	3,4
ქსამაქსი — ციურიხი	1,4	3,2	5,3

14 სექტემბერი

არაუ — კარუჟი	1,3	3,6	6,0
ლუცერნი — ლოზანა	2,3	2,9	2,3

თურქეთის ჩემპიონატი. VI ტური

13 სექტემბერი

ალთაი — ბეშიქთაში	6,0	3,6	1,3
ქაისერისფორი — ფენერბაჰჩე	8,0	4,7	1,15
ისთანბულსფორი — ვანსფორი	1,05	6,0	12,0
ტრაბზონსფორი — შექერსფორი	1,05	6,0	12,0

14 სექტემბერი

ანკარაგიუჯუ — ბურსასფორი	2,3	2,9	2,3
გალათასარაი — ანთალიასფორი	1,05	6,0	12,0

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში,
ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

რაფტერი გაიქცა

კვირას ნიუ-იორკის „ფლაშინგ მიდოუზის“ კორტებზე წლევანდელი დიდი სლემის ტურნირებიდან უკანასკნელი — ამერიკის ღია ჩემპიონატი დასრულდა. სენსაციებმა და მოულოდნელმა გამარჯვებებმა ის მოიტანა, რომ კაცთა კლასიფიკაციაში დიდი აღმა-დაღმასვლა მოხდა.

ბოლო წლების საუკეთესო ჩოგბურთელს — პიტ სამპრასს ზედიზედ ორი მოგებული „ოუფენის“ შემდეგ მერვედფინალში განცდილი მარცხი აშკარად არ წაადგა — მთელი 906 სარეიტინგო ქულა დააკარგვინა და აქამდე უსაშველოდ ჩამორჩენილ მეტოქეებს მისი დაწევის იმედი გაუჩინა.

პიტის ტახტიდან ჩამოგდების მსურველი მრავლია. უპირველესი პრეტენდენტი ჯერჯერობით ამერიკელი მაიკლ ჩანგია, რომელსაც მუდმივი მეორეობა კარგა ხანია მობეზრდა და თავისი სახელოვანი თანამემამულის უახლოესი მდევარია.

ამერიკის ღია ჩემპიონატზე გამარჯვების შემდეგ მე-14-დან მე-3 ადგილზე აინაცვლა პატრიკ რაფტერმა. სამურაული კიკინით დამშვენებულმა ავსტრალიელმა, რომელიც წლის დასაწყისში მსოფლიოს 63-ე ჩოგანი იყო, კაცთა ჩოგბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი „ვაქცევა“ მოიწყო და ახლა, მისივე თქმით, ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მიუწვდომელ ოცნებას — მსოფლიოში პირველობასაც შეეჭიდება.

ჰარდზე კარგად ჩატარებული სეზონის შემდეგ კარიერაში უმაღლეს — მე-5 ადგილს მიაღწია ესპანელმა კარლოს მოიამ. წინ წაიწიეს „ოუფენის“ ტრიუმფატორებმა — ინგლისელმა გრეგ რუზეცკიმ და შვედმა იონას ბიორკმანმა. პეტერ კორდას კი, რომელმაც მერვედფინალში პიტ სამპრასს მოუგო და ამის მიერ დაპრიალებულ ჩოგბურთელებს ჩემპიონობისკენ გზა გაუხსნა, ამაგი არ დაუფასდა — ისევ მე-16 ადგილს შერჩა.

კაცებისგან განსხვავებით, ქალების კლასიფიკაციაში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. კარგა ხნით დაუკარგა თავის მეტოქეებს პირველობისთვის ბრძოლის ხალისი შვეიცარელმა ვუნდერკინდმა მარტინა ჰინგისმა. უახლოეს მდევარს იგი 3000 ქულით უსწრებს და ნახევარი წელი თავის ჰობის — ცხენებზე ჯირითსაც რომ მოანდომოს, მისი დამწევი მაინც ქალი არ იქნება.

„ოუფენზე“ წარმატებული ასპრეზობის შემდეგ საუკეთესოთა ათეულში კვლავ შევიდნენ რუმინელი ირინა სპირლეა და

პატრიკ რაფტერი

ესპანელი არანჩა სანჩეს-ვიკარიო. წინ წაიწია წლეულს კარგად მოასპარეზე ფრანგმა სანდრინ ტესტიუმ. აი, ვინუს ვილიამსი კი მთელი 40 საფეხურით დაწინაურდა — 66-ედან 27-ეზე გადაინაცვლა და უახლოეს მომავალში ოცეულსაც მიუკაკუნებს. ბოლო ათი წლის საუკეთესო ჩოგბურთელი — გერმანელი შტეფი გრაფი კი, მუხლის ოპერაცია რომ გადაიტანა, კვლავ იძულებით შვებულებაშია და შედეგსაც იმკის. 1986 წლის შემდეგ იგი პირველად გავარდა საუკეთესოთა ათეულიდან და მალე კიდევ უფრო ქვემოთაც დაეშვება, რაკიღა ნოემბრამდე ტურნირებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ᲐᲗᲘᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

1	(1)	პიტ სამპრასი (აშშ)	4585
2	(2)	მაიკლ ჩანგი (აშშ)	3442
3	(14)	პატრიკ რაფტერი (ავსტრალია)	2889
4	(3)	ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი)	2693
5	(6)	კარლოს მოია (ესპანეთი)	2449
6	(5)	ტომას მუსტერი (ავსტრია)	2357
7	(8)	სერხი ბრუგერა (ესპანეთი)	2357
8	(10)	მარსელო რიოსი (ჩილე)	2322
9	(4)	გორან ივანიშევიჩი (ხორვატია)	2291
10	(7)	ალექს კორეჩა (ესპანეთი)	2284
11	(20)	გრეგ რუზეცკი (ინგლისი)	2235
12	(9)	გუსტავო კერტენი (ბრაზილია)	2230
13	(17)	იონას ბიორკმანი (შვედეთი)	2190
14	(12)	ფელიქს მანტია (ესპანეთი)	1986
15	(11)	ტომას ენკვისტი (შვედეთი)	1983
16	(16)	პეტერ კორდა (ჩეხეთი)	1980
17	(13)	ბორის ბეკერი (გერმანია)	1918
18	(19)	რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია)	1903
19	(18)	ალბერტ კოსტა (ესპანეთი)	1803
20	(—)	ტიმ ჰენმანი (ინგლისი)	1539

1	(1)	მარტინა ჰინგისი (შვეიცარია)	6855
2	(3)	იანა ნოვოტნა (ჩეხეთი)	3577
3	(2)	მონიკა სელეში (აშშ)	3482
4	(4)	ივა მაიოლი (ხორვატია)	3341
5	(6)	ლინდსი დევენპორტი (აშშ)	3120
6	(5)	ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა)	2785
7	(8)	ანკე ჰუბერი (გერმანია)	2505
8	(10)	მარი პირსი (საფრანგეთი)	2459
9	(12)	ირინა სპირლეა (რუმინეთი)	2235
10	(11)	არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)	2166
11	(9)	კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)	2138
12	(13)	მერი ჯო ფერნანდესი (აშშ)	1902
13	(7)	შტეფი გრაფი (გერმანია)	1788
14	(17)	სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი)	1733
15	(14)	ბრენდა შულც-მაკარტი (ჰოლანდია)	1670
16	(15)	რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი)	1596
17	(16)	ბარბარა პაულუსი (ავსტრია)	1506
18	(18)	კიმბერლი პო (აშშ)	1424
19	(19)	საბინე აპელმანსი (ბელგია)	1379
20	(20)	კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი)	1283

ᲕᲘᲜ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ US$ ᲛᲝᲘᲮᲕᲔᲭᲐ ᲬᲔᲚᲡ

1	პიტ სამპრასი	1 905 078
2	პატრიკ რაფტერი	1 432 084
3	მაიკლ ჩანგი	1 327 720
4	გუსტავო კერტენი	1 155 213
5	ევგენი კაფელნიკოვი	1 152 792
6	ალექს კორეჩა	1 089 272
7	ტომას მუსტერი	1 084 190
8	ტოდ ვუდბრიჯი (ავსტრალია)	1 077 318
9	მარსელო რიოსი	1 034 855
10	იონას ბიორკმანი	965 130
11	სერხი ბრუგერა	958 808
12	მარკ ვუდფორდი (ავსტრალია)	921 697
13	ფელიქს მანტია	880 483
14	გორან ივანიშევიჩი	848 797
15	ალბერტ კოსტა	800 929
16	კარლოს მოია	747 560
17	რიხარდ კრაიჩეკი	745 364
18	მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია)	743 481
19	ადრეი მედვედევი (უკრაინა)	704 578
20	დანიელ ვაჩეკი (სლოვაკეთი)	688 375

1	მარტინა ჰინგისი	3 096 311
2	ლინდსი დევენპორტი	1 133 106
3	ივა მაიოლი	1 129 087
4	იანა ნოვოტნა	875 340
5	მონიკა სელეში	771 705
6	მერი ჯო ფერნანდესი	695 997
7	არანჩა სანჩეს-ვიკარიო	681 392
8	ნატაშა ზვერევა (ბელარუსი)	676 778
9	მარი პირსი	670 689
10	ამანდა კუტცერი	569 924
11	ირინა სპირლეა	550 798
12	ჯიჯი ფერნანდესი (აშშ)	443 082
13	კონჩიტა მარტინესი	427 479
14	ვინუს ვილიამსი (აშშ)	426 861
15	სანდრინ ტესტიუ	371 858
16	რუქსანდრა დრაგომირი	357 747
17	მანონ ბოლეგრაფი (ჰოლანდია)	347 179
18	ნიკოლ არენდტი (აშშ)	336 452
19	ლაიზა რეიმონდი (აშშ)	336 110
20	ანკე ჰუბერი	334 100

ანა მურღულია და ნანა უროტაძე

ქართველმა გავშვებმა „მერსედესი“ გააკოტრეს

სამი პირველი, ექვსი მეორე და რვა მესამე ადგილი! ასეთია სხვადასხვა ასაკის ყმაწვილ და ახალგაზრდა ქართველ ჩოგბურთელთა ნადავლი, რომელიც მათ გერმანიის ქალაქებიდან: ფრაიბურგიდან, ფრეიზენჰაიმიდან, ბრემენიდან და კარლსრუედან ჩამოიტანეს. ამ ქალაქებში „მერსედეს ბენცისა“ და „ვილსონის“ პრიზებზე საერთაშორისო ტურნირების სერიაში ხუთი ასაკობრივი ჯგუფის ჩოგბურთელები ასპარეზობდნენ და ჩვენებურებმა ხუთივეში მეტ-ნაკლებ წარმატებას მიაღწიეს.

უფროსი ასაკის (17-18 წლის) ბიჭებში „მერსედეს ბენცის“ ორივე ტურნირზე, რომლებიც ბრემენსა და კარლსრუეში ჩატარდა, გივი მიქელაძემ მესამე ადგილები დაიკავა.

15-16 წლის ჭაბუკთა იმავე ასპარეზობაში ერთი მესამე ადგილი მოიპოვა პრომეთე შეკვარდნაძემ.

13-14 წლის ბიჭებში სანდრო ქურიძემ ერთი მესამე ადგილი დაიკავა „ვილსონის“ ტურნირზე.

საქართველოს წარმომდგენელთათვის ყველაზე უხვმოსავლიანი გამოდგა 11-12 წლის ბავშვთა მონაგარი. აქ ომარ მურღულიამ „მერსედესის“ ორივე ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა, „ვილსონისაზე“ კი — ერთი მესამე; დავით კვერნაძე „მერსედესის“ ორივე ტურნირზე კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა, „ვილსონისაზე“ კი — ერთით ზემოთ; ნანა უროტაძეც სამი საპრიზო ადგილით დაბრუნდა: ერთი მეორე პრიზი მან „ვილსონის“ ტურნირზე დაიმსახურა, ხოლო ბრემენსა და კარლსრუეში მეორე და მესამე ადგილები დაიკავა.

ჩვენს ჩოგბურთელთაგან ყველაზე დიდი ნადავლი ყველაზე პატარამ დაიმსახურა. ეს გახლდათ 9 წლის ანა მურღულია, ვინც ერთი წლით უფროსებსაც ეპაექრებოდა. ანამ ფრაიბურგსა და ფრეიზენჰეიმში „ვილსონის“ ორივე ტურნირი მოიგო. ამას „მერსედესის“ პრიზებზე კიდევ ერთი პირველი ადგილი მიაყოლა, ბოლო ტურნირზე კი მეორე იყო.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ

დღეს «აზოტმა» ევროპელებს უნდა აწყვიტოს

ესტონელებს უნდა აჯობინონ

რუსთავის „აზოტის“ კალათბურთელთა გუნდს დღეს დიდი გამოცდა აქვს: „აზოტი“ პირველად იასპარეზებს საკალათბურთო ევროტურნირზე — ჯორაჩის თასის გათამაშების პირველ წრეში ესტონეთის „ესტონიან ფაიერსს“ შეხვდება. ესტონელები გუშინ ჩამოვიდნენ თბილისში, მათი თავკაცი კი წარსულში ცნობილი კალათბურთელი, წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი იაკ სალუმეცია. „ესტონიან ფაიერსი“ „აზოტზე“ გამოცდილი გუნდია და ევროტურნირებშიც უასპარეზია, იქნებ დღევანდელ ფავორიტადაც შეგვერაცხა, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რომ „აზოტი“ შინ თამაშობს და ქომაგთა მხარდაჭერაც არ მოაკლდება, მაშინ ესტონელთა მცირე უპირატესობაც გაბათილდება და მეტოქეთა შანსები გათანაბრდება.

„აზოტის“ მწვრთნელებმა ოთარ ხმელიძემ და ამირან ხაჩიძემ 16 კალათბურთელი მიიწვიეს შეკრებაზე, იმ თექვსმეტიდან კი ათი დღევანდელ მატჩში გამოვა.

რუსთავის „აზოტისა“ და „ესტონიან ფაიერსის“ დღევანდელ შეხვედრას, რომელიც თბილისის სპორტის სასახლეში 18 საათზე დაიწყება, რუსი სერგეი ბულანოვი და უკრაინელი რომან რიჟიკი იმსაჯებენ. მატჩის კომისარიც სლავთა ქვეყნიდანაა — ბელარუსი ბორის ცარიკოვი.

ჩვენი ქალები იქით და აქეთ

ნასარიძის ნასროლი ისრები

რაც ნატო ნასარიძემ თურქეთს შეაფარა თავი, ხოლო ხათუნა ქვრივიშვილმა ატლანტის ოლიმპიადის შემდეგ ამერიკაში დარჩენა არჩია, მშვილდოსნობის ჩვენებური სპეციალისტები და ქომაგები შედარებით ახალბედა და ნაკლებტიტულოვანი სპორტსმენების ამარა დარჩნენ. ეს გოგო-ბიჭები მეტ-ნაკლები წარმატებით მიუყვებიან ქეთევან ლოსაბერიძის გაკვალულ და ნასარიძე-ქვრივიშვილის გაგრძელებულ გზას. ამის დასტურად კი ჩვენი მშვილდოსნების ბოლო მიღწევაც გამოდგება.

თურქეთის პატარა ქალაქმა კასამონუმ ახლახან მშვილდოსანთა ტრადიციულ ტურნირს უმასპინძლა. ეს ტურნირი თურქეთის პირველი პრეზიდენტის, თურქთა ეროვნული გმირის მუსტაფა ქემალ ათათურქის სახელობისაა — მადლიერი შთამომავლობა ცდილობს, ღირსეული პატივი მიაგოს დიადი თურქის ხსოვნას, იქაური სპორტის თავკაცებმა კი ეს პატივისცემა იმით გამოხატეს, რომ ექვსი წლის წინ მშვილდოსანთა ამ ასპარეზობას ჩაუყარეს საფუძველი. იმის გამო, რომ ტურნირამდე ერთი კვირით ადრე კანადის ქალაქ ვიქტორიაში მშვილდოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი დამთავრდა, არაერთმა გადაღლილმა ჩუბინმა კი თურქეთში ჩასელაზე უარი თქვა, კასამონუში 10 ქვეყნის მეტ-ნაკლებად ძლიერმა გუნდმა მოიყარა თავი, მათ შორის, საქართველოს ნაკრებმა. ქალთა და ვაჟთა ტურნირებში 20-20 მონაწილე ასპარეზობდა. ტურნირის ორგანიზატორებმა მოისართ მეტად რთული პროგრამა — ევრეთ წოდებული „ოლიმპიური წრე“ შესთავაზეს. ორი ეტაპის ჯამში ჩემპიონი ამჟამად თურქეთის მოქალაქე ნატო ნასარიძე გახდა — ფინალში ნატომ თანაგუნდელი, თურქი დენიზ გუნაი დამარცხა — 112:102. მე-3 ადგილისთვის კი ჩვენებური ხათუნა ფუტკარაძე (აჭარა) და უკრაინელი ირინა კოროტკაია იბრძოდნენ. სამწუხაროდ, გამოცდილმა კოროტკაიამ იძალა და 7 ქულით (107:100) მოუგო ფუტკარაძეს. არც ჩვენი გუნდის დანარჩენ წევრებს — ასმათ დიასამიძესა და იამზე ტალახაძეს უასპარეზიათ უნუგეშოდ და მათმა მოგროვებულმა ქულებმა ფუტკარაძის მე-3 ადგილთან ერთად საქართველოს ნაკრებს გუნდური II ადგილი მოუტანა. ჩემპიონობა თურქებს ერგოთ, მესამენი კი ყაზახი მშვილდოსნები იყვნენ.

საქართველოს ვაჟთა ნაკრების ღირსებას კი სერგო ბერიძე, თამაზ ბასილაძე და თემურ მორგოშაძე იცავდნენ. საინტერესოა, რომ სამივე, ისევე, როგორც ფუტკარაძე და დიასამიძე, აჭარელია, საერთოდაც გუნდში მხოლოდ ერთი თბილისელი სპორტსმენი — იამზე ტალახაძე იყო. აქ სერგო ბერიძე ბრინჯაოს მედლისთვის თურქ აიტო ჩუგლუსს შეება. სერგომ დამაჯერებლად აჯობა მასპინძელთა გუნდის ლიდერს (100:88) და მესამე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი აზერბაიჯანელი ოლეგ მარსიუკი გახდა, მეორე კი ყაზახეთის გუნდის წევრი სერგეი მარტინოვი იყო. თურქებმა არც ვაჟთა ტურნირში დაუთმეს გუნდური პირველობა მეტოქეებს და დამაჯერებლად აჯობეს ყველას. მეორე ადგილი აზერბაიჯანელებმა დაისაკუთრეს, მესამე — ყაზახებმა.

ᲯᲐᲑᲐ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ

კანდელაკი ფინეთში იწყებს

გუშინ ფინეთის ქალაქ ტამპერეში მოკრივეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი დაიწყო. ეს ასპარეზობა ორმაგად საინტერესოა ჩვენთვის: ჯერ ერთი, ტამპერეში 3 ჩვენებური იჩხუბებს, მეორეც, ამ სამიდან ერთ-ერთი გიორგი კანდელაკია, რომელსაც წელიწადია, არსად უასპარეზია. გეხსომებათ, კანდელაკმა სპორტი მიატოვა, აღარც აპირებდა კრივში დაბრუნებას, ერთ ხანს პროფესიული ჭიდაობის იაპონური კლუბის წევრობას აპირებდა, მაგრამ ესაც გადაიფიქრა და ბოლოს, ქომაგთა და ოჯახის წევრთა თხოვნით, კვლავ სამოყვარულო კრივს დაუბრუნდა. ოღონდ, წონითი კატეგორია შეიცვალა და საკმაოდ მოსუქებული ტამპერეში მძიმე წონაში იჩხუბებს.

გიორგი კანდელაკის გარდა ფინეთში ასევე გორელი რამაზ გაზაშვილი (51 კგ) და ჭიათურელი თენგიზ ჯაოშვილიც (71) გამოვლენ. ამ სამეულს კანდელაკის პირადი მწვრთნელი ავთანდილ შოშიაშვილი თავკაცობს. ბიჭები და მწვრთნელიც იმედიანად გაემგზავრნენ ტურნირზე. ეს შეჯიბრება კი საგაისო ევროპის ჩემპიონატის ლიცენზიას იძლევა. ლიცენზიის მოპოვების შანსი კი, როგორც ქართული კრივის თავკაცები ფიქრობენ, სამივე ჩვენებურ მოკრივეს აქვს მეტნაკლებად.

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო მეთოდური ცენტრი „მზიურის“ აცხადებს მოსწავლეთა მიღებას პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში

ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲘᲐᲜ VI-XI ᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲔᲑᲘ

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ 11 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲐᲛᲓᲔ

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ი.ჭავჭავაძის I ჩიხი, №37
(ᲒᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ „ᲛᲖᲘᲣᲠᲘᲡ“ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ)
ᲢᲔᲚ: 29-48-60, 29-48-61, 23-53-17

ნუ გადაძვრებით ღობეზე

ვუსტმა ორშაბათს ზედიზედ მეორე სპრინტი მოიგო

ესპანეთის ველოტური „ვუელტა“

III ეტაპი. 8.09.
ლულე (პორტუგალია) — უელვა (ესპანეთი). 173 კმ

1. მარსელ ვუსტი (გერმანია, ლოტუსი) 4 საათი: 28 წუთი. 07 წამი; 2. ფაბრიციო გვიდი (იტალია, ზკრინეო); 3. სვენ ტო�ენბერგი (გერმანია, იუ-ეს პოსტალი); 4. მარკო ძანოტი (იტალია, აკი); ... 7. ლარს მიხელსენი (დანია, ტვმ); ... 10. ლორან ფალაბერი (საფრანგეთი, ონსე); ... 15. კლაუდიო კიაპუჩი (იტალია, ასიკსი) — ყველას იგივე დრო

„ვუელტას“ მონაწილეებმა სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთეს და ასპარეზობა ესპანეთში განაგრძეს. პორტუგალიამ ველოსიპედისტებს მხურვალე გაცილება მოუწყო: ჰაერის ტემპერატურა 36 გრადუსს აღწევდა და დასიცხული ველოტონიც ძალზე ნელა მიიწევდა წინ. ფინიშის ხაზამდე აჩქარების დიდი სურვილი არავის გამოუჩენია და ყველაფერი კვლავ ერთიანმა საფინიშო სპურტმა გადაწყვიტა.

მარიო ჩიპოლინის არყოფნაში გერმანელმა ვუსტმა გაილაღა და ზედიზედ მეორე ეტაპი მოიგო. მას სულ მცირედით ჩამორჩნენ იტალიელი გვიდი და თანამემამულე ტოიტენბერგი. ამ გამარჯვებით ვუსტმა ძმური სამსახური გაუწია ჯამურ ლიდერს, დანელ მიხელსენს. საქმე ესაა: ეტაპი რომ გვიდის მოეგო, სანაცვლოდ 12 წამის ჩამოკლება ერგებოდა და ჯამში პირველზეც წამოიჭიმებოდა, მაგრამ ახლა 8 წამითღა იხეირა და მეორე ადგილს დაჯერდა, თუმცა დანიელს ერთი წამითღა ჩამორჩებოდა.

მიუხედავად იმისა, დიდხანს შეირჩენდა ლიდერის ყვითელ მაისურს თუ არა, მიხელსენს უკვე მოემკო წარმატების პირველი შედეგები. „ვუელტას“ დაწყებამდე მას გუნდი სამომავლოდ კონტრაქტის დადებას უჯანჯღლებდა, კვირა საღამოს კი მრბოლს ყველა პირობაზე დათანხმნენ და „ტურ დე ფრანსში“ მონაწილეობაც აღუთქვეს.

IV ეტაპი. 9.09. უელვა — ხერეს დე ლა ფრონტერა. 192 კმ: 1. ელეტერიო ანგიტა (ესპანეთი, ესტეპონა) 4:17.38; 2. კლაუდიო კამინი (იტალია, ბრეშიალატი); 3. იან ზვორადა (ჩეხეთი, მაპეი); 4. ძანოტი; 5. მირკო როსატო (იტალია, ზკრინეო); ... 8. ფალაბერი; ... 16. ვუსტი; — იგივე დრო.

ეტაპის ბოლომდე საინტერესო კვლავ არაფერი მომხდარა, უკანასნელ კილომეტრზე კი დიდი ამბები დატრიალდა. რამდენიმე მრბოლმა ბარიერებს გვერდი ვერ უქცია და დაეცა. ამათ შორის აღმოჩნდნენ ყვითელი მაისურის მფლობელი მიხელსენი და ტურის ფავორიტი, იტალიელი კიაპუჩი. მიხელსენი, რომელმაც ღობეები მეორე ეტაპზეც დაიგემოვნა, კვლავ გადაურჩა სერიოზულ ტრავმას, თუმცკი ეს დაცემა თავისი ჭყეტელა მაისურის დაკარგვად დაუჯდა.

ჯამში მას დაგროვილ ქულათა ხარჯზე იტალიელმა გვიდომ გადაასწრო. ამანაც გაუსინჯა ტრავმებს გემო. წელს

სამშაბათის გამარჯვებული ანგიტა დაჭირავებულმა გოგოებმა დაკოცნეს

ფაბრიციომ ორივე ლავიწის მოტეხვა მიასწრო, უკანასკნელად აგვისტოში დაშავდა და გამოჯანმრთელების შემდეგ ეს მისი პირველი ასპარეზობა იყო.

ეტაპი ესპანელმა ანგიტამ მოიგო და თანამემამულენი ძალიანაც გაახარა, რაკიღა ამათგან 1995 წლის მერე ეტაპზე არავის ემარჯვა. ანგიტამ ჯამშიც მნიშვნელოვნად წაიწია წინ — მესამე გახდა და ლიდერთან სულ რაღაც 5 წამს აგებს.

4 ეტაპის ჯამი: 1. გვიდი 18:29.12; 2. მიხელსენი იგივე დრო; 3. ანგიტა ჩამორჩება 5 წამით; 4. კიაპუჩი .08; 5. ფალაბერი და ანგელო კანონიერი (იტალია, საეკო) ორივე .11; 7. მაურო ბეტინი (იტალია, რეფინი) .13; ... 11. აბრაამ ოლანო (ესპანეთი, ბანესტო) .18.

ავთანდილ სვანიძე
REUTER-ის ფოტოები

6 წლის ლუკას არაფერი დაშავებია, 50 წლის ჩემპიონი მამა კი დღეს-ხვალ ჩვეულად ვეღარ იონავრებს

ლუკას გახარება
ფიტიპალდები ჭაობმა იხსნა

ლეგენდარულ ავტომრბოლს, ბრაზილიელ ემერსონ ფიტიპალდის კვირას უსიამო ამბავი შეემთხვა. ფიტიპალდი 1972 და 1974 წლებში ფორმულა-1-ის ჩემპიონი იყო, მერე ინდიკარში გადავიდა და თავი არც იქ შეურცხვენია — 1989 და 1993 წლებში ინდი-500 ცნობილი რბოლა გახდა. 1996-ში ინდიკარის ერთ-ერთ ეტაპზე ბრაზილიელი სერიოზულად დაშავდა, რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა და მეტი აღარც უასპარეზია.

ყოფილი ჩემპიონი სამშობლოში მშვიდ ცხოვრებას დაუბრუნდა, მაგრამ ტრასების შემდეგ საჰაერო გზების დაპყრობაც მოინდომა და ხიფათიც შეემთხვა. კვირა დილით ფიტიპალდი ციტრუსების ფერმაში გაემგზავრა საკუთარი თვითმფრინავით, რომელზეც პილოტის მოვალეობას თავად ასრულებდა, ერთადერთ მგზავრად კი ვაჟი ლუკა ყავდა.

სან-პაულუდან 350 კილომეტრის დაშორებით, პატარა ქალაქ არარაკარასთან ძრავი გაჩერდა და თვითმფრინავიც 100 მეტრის სიმაღლიდან დაეშვა. ბედად მისი დაღმასვლა ზეებმა შეანელა, ქვემოთ კი ჭაობიც დახვდა. ახლობლებმა დაკარგულები საღამოს მოიკითხეს, როდესაც თვითმფრინავი აღარსად გამოჩნდა და პოლიციამაც მასშტაბური ძებნა გააჩაღა.

დაზარალებულები რამდენიმე საათში იპოვეს და ქალაქს საავადმყოფოში გადაიყვანეს, მცირე კი სან-პაულუს ალბერტ აინშტაინის სახელობის ჰოსპიტალშიც გადაიფრინეს. ფიტიპალდის ფეხი და ხერხემლის ერთი მალა აღმოაჩნდა მოტეხილი, ლუკა კი მცირე დაქეჟილობებითა და ნაკაწრებით გადარჩა.

მთავარი ექიმის ლუის ნევეშის განცხადებით, ფიტიპალდის მდგომარეობა საშიში არ არის და მალე მომჯობინდება. ამ დღეებში ემერსონს მაიამში (ფლორიდა, აშშ) გადააფრენენ და მორიგი ოპერაციის გასაკეთებლად შარშანდლიდან ნაცნობ ექიმებს აახლებენ.

გაიოზ გერიძე

საფრენი აპარატი იღბლად ჭაობში ჩავარდა

მსურველს შევასწავლით
კომპიუტერს
დარეკეთ 23 20 66. იკითხეთ
მარიკო ან ზაზა

თამაშ-თამაშ ლიდერობენ

ენინდოვენში, ფრენბურთელ ქალთა ევროპის ჩემპიონატზე, მასპინძელი ჰოლანდიელები ჯერჯერობით, რომ იტყვიან, თამაშ-თამაშ ლიდერობენ თავიანთ ჯგუფში — სამი ტურის მეორე მაქსიმალური 6 ქულაც აქვთ და ერთი ხელი რაა, ისიც არ წაუგიათ.

სამაგიეროდ, ერთი ხელიც ვერ მოუგიათ ფინელებს და ეს ჩემპიონატი ტურისტულ მოგზაურობად თუ ჩაეთვლებათ, ისევე როგორც ორად-ორ ხელის მომგებ ბერძნებს. რუსებიც, თავის კვალობაზე შავ დღეში არიან — ვითომ კარგად კი დაიწყეს, იუგოსლავებს 3:0 მოუგეს, მაგრამ მერე სლოვაკებთანაც წააგეს და გერმანელებთანაც.

8 სექტემბერი. მე-3 ტური

I ჯგუფი. გერმანია — რუსეთი 3:2, სლოვაკეთი — იტალია 3:1, საბერძნეთი — იუგოსლავია 3:1.

	თ	ბ	ქ
იუგოსლავია	3	6:4	4
იტალია	3	6:4	4
სლოვაკეთი	3	7:6	4
გერმანია	3	7:6	4
რუსეთი	3	7:6	2
საბერძნეთი	3	2:9	0

II ჯგუფი. უკრაინა — ფინეთი 3:0, საფრანგეთი — ბულგარეთი 3:0, ჰოლანდია — ჩეხეთი 3:0.

ჰოლანდია	3	9:0	6
საფრანგეთი	3	6:3	4
უკრაინა	3	6:5	4
ჩეხეთი	3	5:7	2
ბულგარეთი	3	5:4	2
ფინეთი	3	0:9	0

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად
დარეკეთ
95 26 90

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით,
ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29

ON CLINIC LTD.
MEDICAL CENTRE

ერექციის აღდგენა

ON კლინიკ ჯორჯია — საერთაშორისო სამედიცინო ცენტრი

სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
შედეგების სრული გარანტია ასაკის მიუხედავად

მამაკაცთა სექსუალური პრობლემების მკურნალობის მსოფლიოში უძველესმა საერთაშორისო სამედიცინო ცენტრმა "ON CLINIC" პირველად ამერიკაში საქართველოში გახსნა კლინიკა!!! კლინიკების ქსელი წარმატებით მუშაობს ისრაელში, კანადაში, აშშ-ში, ევროპაში, იტალიაში, თურქეთში, რუსეთში და სხვა ქვეყნებში

მკურნალობა სრულიად ანონიმურია. პაციენტები ერთმანეთთან შეხვედრისგანაც დაზღვეულნი

ოქვენ მოგვმსახურებიან ექიმ-უროლოგები ისრაელიდან. კლინიკის ხელმძღვანელი და კონსულტანტია მსოფლიოში ცნობილი სპეციალისტი, მინესოტას (აშშ) და თელ-ავივის უნივერსიტეტების პროფესორი ბატონი ამი სიდი

კლინიკის სპეციალიზაციაა მამაკაცთა სექსუალური პრობლემების მოგვარება, პოტენციის აღდგენა და აღდგენა, სპერმის ნაადრევი გამოყოფის მკურნალობა, განსაკუთრებით, პროსტატიტის, დიაბეტის და გულ-სისხლძარღვთა დაავადების ფონზე

"ON CLINIC" საერთაშორისო სამედიცინო ცენტრის კლინიკებში მკურნალობის კურსი წარმატებით 125 000 მამაკაცმა გაიარა

ამერიკა!

მილეგა წინასწარი სატელეფონო ჩანერ-